



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

# პოლიტიკის ნარკვევების კრებული

## მაისი 2023

ქაღები პოლიტიკურ პროცესებში:  
ქართული დემოკრატიის  
დაუძლიებელი ბარიერები



ქართველი დიპლომატი ქალი, რუსუდან მიქელაძე  
ქართულ დელეგაციასთან ერთად ტრაპიზონში,  
1918 წელს, ამიერკავკასიის სეიმსა და ოსმალეთის  
ხელისუფლებას შორის გამართულ შეხვედრაზე.

ყდაზე განთავსებული ფოტო დაცულია რუსუდან მიქელაძის  
შთამომავალი ოჯახის პირად კოლექციაში.

# ՅՈՒՆԵՍԿՈ ՆԱԽԱՅԵՎՈՒԹՅԱՆ ՎԵՐԻՍՏ

ՅԱՆՆԻ 2023

Մեր նպատակն է  
Վերականգնել: Մեր ժողովրդի  
Վերականգնել Վերականգնել  
Վերականգնել



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

**Embassy of Switzerland in Georgia**



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია, რომელიც 2011 წლის დასწყისში დაარსდა. GIP ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით. ორგანიზაციის მიზანია, გახდეს კვლევებისა და პოლიტიკური ინოვაციების წამყვანი ცენტრი საქართველოსა და შავი ზღვის რეგიონში და საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად. 2013 წლიდან საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი არის ეუთოს აკადემიური ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ორგანიზაციების ქსელის წევრი, ასევე, არის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კვლევითი ორგანიზაციების ქსელის წევრი, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის სექტემბრიდან ევროკომისიის მხარდაჭერით.

პუბლიკაცია მომზადდა „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა“ და „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ შეხედულებებს.

**რედაქტორი:** კორნელი კაკაჩია  
**ავტორები:** თეონა ზურაბაშვილი  
შოთა კაკაბაძე  
სალომე კანდელაკი  
ნინო სამხარაძე

გამომცემლობა: გრიფონი  
ISBN 978-9941-499-52-4

© Georgian Institute of Politics, 2023  
Tel: +995 599 99 02 12  
Email: info@gip.ge  
www.gip.ge

## ავტორების შესახებ

**თეონა ზურაბაშვილი** საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის აფილირებული ანალიტიკოსია. 2018-2020 წლებში, შვედეთის ინსტიტუტის დაფინანსებით ის სწავლობდა გოტენბურგის უნივერსიტეტში, სადაც მიიღო მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებაში. გარდა ამისა, მას მოპოვებული აქვს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისგან (GIPA) მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან ბაკალავრის ხარისხი ისტორიის სპეციალობით. ამასთან, თეონას გავლილი აქვს კვლევითი სტაჟირება მთავრობის ხარისხის ინსტიტუტში (QoG Institute, შვედეთი), სადაც ის მუშაობდა კორუფციის საკითხებზე. მისი კვლევითი ინტერესები ძირითადად მოიცავს დემოკრატიის, კარგი მმართველობის და კორუფციის საკითხებს, ასევე, პოლიტიკური პარტიებს ტრანზიციულ დემოკრატიებში.

**შოთა კაკაბაძე** საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის ანალიტიკოსია. იგი არის ტარტუს უნივერსიტეტის (ესტონეთი) ფილოსოფიის დოქტორი პოლიტიკის მეცნიერებებში. მას ამავე უნივერსიტეტში მიღებული აქვს ევროკავშირი-რუსეთის კვლევების მაგისტრის ხარისხი. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდში, შოთა ასევე იყო შვედეთის ინსტიტუტის მიწვეული მკვლევარი რუსეთისა და ევრაზიის კვლევების ინსტიტუტში (უფსალას უნივერსიტეტი) და საერთაშორისო ურთიერთობების უმცროსი მკვლევარი იოჰან შუტეს სახელობის პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტში (ტარტუს უნივერსიტეტი). მისი კვლევითი ინტერესები მოიცავს ეროვნული იდენტობის დისკურსებს, საგარეო პოლიტიკას, აღმოსავლეთ პარტნიორობას. შოთას გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე აკადემიური ნაშრომი და წიგნის თავი (book chapter) საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული იდენტობის ურთიერთდამოკიდებულებაზე.

**სალომე კანდელაკი** საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პროექტის კოორდინატორი და პოლიტიკის ანალიტიკოსია. ის აგრეთვე არის პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სალომე ასევე არის ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. 2017 წელს მან მოიპოვა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (CEU) მაგისტრის ხარისხი პოლიტიკის მეცნიერებაში. მისი ვიწრო სპეციალიზაციის სფეროა შედარებითი პოლიტიკა. გარდა ამისა, მას დამთავრებული აქვს გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტისა (Speyer) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა საჯარო ადმინისტრირებაში. მისი უახლესი სამუშაო გამოცდილება გახლავთ ფონდების მოძიების მენეჯმენტი სოციალური სამართლიანობის ცენტრში (ყოფილი EMC), წამყვანი სპეციალისტის მოვალეობის შესრულება თბილისის საკრებულოში და პროექტების მართვა სხვადასხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებში. მისი გამოცდილების სფეროა შედარებითი ანალიზი, განსაკუთრებული აქცენტით რელიგიასა და პოლიტიკაზე, რეგიონალიზმსა და დემოკრატიზაციაზე. მის კვლევით ინტერესებში ასევე შედის ევროპეიზაცია, გაყინული კონფლიქტები და სეკულარიზმის საკითხები ევროპაში.

**ნინო სამხარაძე** საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის პოლიტიკის ანალიტიკოსია. ამავე დროს ის არის დოქტორანტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლიტიკის

მეცნიერების მიმართულებით. მაგისტრის ხარისხი მან ნაციონალიზმსა და ეთნიკურობის კვლევებში მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ბაკალავრიატი საერთაშორისო ურთიერთობებში დაამთავრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ამავე უნივერსიტეტში მონვეული ლექტორის სტატუსით კითხულობს კურსებს შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში და ნაციონალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებში. ნინოს კვლევითი ინტერესები ეხება ნაციონალიზმს და იდენტობის პოლიტიკას და მათ გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე პოსტ-საბჭოთა რეგიონში.

## შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში პოლიტიკური პროცესები, ერთი შეხედვით, ჩიხში შევიდა. პოლიტიკური პარტიები ვერ ახერხებენ, იდეოლოგიური და საგნობრივი კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს, და ჯეროვნად უპასუხონ საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის კონკრეტულ საჭიროებებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემატურია ისეთი დიდი და მნიშვნელოვანი ელექტორალური ჯგუფის საკითხი, როგორცაა ქალი ამომრჩეველი, რომელიც დღეს ელექტორატის 50%-ზე მეტს შეადგენს.<sup>1</sup> განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მოლოდინში. არჩევნებამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეს დრო პოლიტიკურმა პარტიებმა მაქსიმალურად გამოიყენონ ამომრჩევლისთვის მყარი და საკითხზე ორიენტირებული დღის წესრიგის შესათავაზებლად და მათი მხარდაჭერის მობილიზებისთვის. იმისთვის, რომ პოლიტიკურ პროცესში ქალი ამომრჩევლის ინტერესები ჯეროვნად იყოს წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია რომ პროცესი ორმხრივად წარმართოს: გაძლიერდეს ქალთა წარმომადგენლობა პოლიტიკურ ელიტაში და გააძლიერდეს ქალი ამომრჩევლის მიღებაში, და გააქტიურდეს ქალი ამომრჩევლის პოლიტიკური ჩართულობა, მათი სპეციფიკური საჭიროებების კვლევა და მათზე რეაგირების მექანიზმები.

დღესდღეობით, ამომრჩეველთა უმეტესობას არც ერთი პოლიტიკური პარტია საკუთარი ინტერესების წარმომადგენლად

არ მიაჩნია და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად არის შემცირებული. გახანგრძლივებული პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ესაა. ამიტომ, ამომრჩევლის სპეციფიკური საჭიროებების და ინტერესების კვლევა და მათზე დისკუსია პოლიტიკური პარტიების ერთ-ერთი აქტიური საქმიანობა უნდა იყოს. საზოგადოებრივი აზრის უახლესი კვლევების მიხედვით, ქალები უფრო ნაკლებად ფიქრობენ, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, ქალები შედარებით კრიტიკულად უყურებენ მოსაზრებას, რომ საქართველო დღეს დემოკრატიული ქვეყანაა, და ქალები ყველაზე ნაკლები ნდობით არიან განმსჭვალული პარტიების მიმართ.<sup>2</sup> შესაბამისად, კონკრეტულად ელექტორატის ამ ნაწილზე ფოკუსის გასწორება პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღებისთვის ქვეყანაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

იმისთვის, რომ პოლიტიკურმა ელიტამ ქალთა საჭიროებებს ჯეროვნად უპასუხოს, ქალი პოლიტიკოსების როლი და მათი პოლიტიკური აქტიურობა გადამწყვეტია. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია აქტიური დისკუსიები ქალი პოლიტიკოსების როლის გაძლიერებაზე, მათ შესაძლებლობებსა და გამოწვევებზე. ამ კუთხით გადამწყვეტია, პოლიტიკური პარტიების შიდადემოკრატიული სტრუქტურების განვითარება, რათა საკუთრივ პარტიებში გააქტიურდეს ქალი პოლიტიკოსების ხედვები და პარტიულ პლატფორმებში აისახოს ისინი. ასევე საჭ-

<sup>1</sup> ცენტრალური საარჩევნო კომისია (2021). არჩევნები 2021. ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/ge/archevnebi/2021> ბოლოჯერ ნანახია: 25.04.2023.

<sup>2</sup> ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (2023). საზოგადოების განწყობა საქართველოში 2023 წლის მარტში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები. ხელმისაწვდომია: [file:///C:/Users/Nino/Downloads/NDI-Georgia\\_March-2023-telephone-poll\\_Geo\\_PUBLIC-VERSION\\_FINAL\\_03.05.pdf](file:///C:/Users/Nino/Downloads/NDI-Georgia_March-2023-telephone-poll_Geo_PUBLIC-VERSION_FINAL_03.05.pdf) ბოლოჯერ ნანახია: 04.05.2023.

იროა ფართო დისკუსია იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად ახერხებენ ქართული პოლიტიკური პარტიები ქალ ამომრჩევლებზე გავლას, რამდენად ასახავენ ისინი ქალი ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, რაც დაეხმარება პარტიებს, სწორად დაგეგმონ საკუთარი ხანგრძლივი სტრატეგია არჩევნებამდე პერიოდში და კონკრეტულად წინასაარჩევნო კამპანია. 2023 წლის მარტში „აგენტების კანონის“ საპარლამენტო განხილვებმა აჩვენა, რომ ქალი პოლიტიკოსების აქტიურობას პოლიტიკურ პროცესებში არაერთი დადებითი ცვლილების შეტანა შეუძლია. ამიტომ, დისკუსია იმაზე, თუ როგორ გაძლიერდეს ქალი დეპუტატების როლი კანონმდებლობით პროცესში, ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობს ქალი ამომრჩევლის საჭიროებების წინ წამოწევას.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი მოხარულია წარმოგიდგინოთ 2023 წლის პოლიტიკის ნარკვევების კრებული, რომელიც ეხმარება საქართველოში მიმდინარე აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებს, გამონვევებს და პერსპექტივებს, ვიმედოვნებთ, რომ პუბლიკაცია საინტერესო დისკუსიას გამოიწვევს. წარმოდგენილი დოკუმენტები და ნაშრომები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც რესურსი პოლიტიკური პარტიების, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების, დარგობრივი ექსპერტების, აკადემიური საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, რომლებიც ჩართულნი არიან ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში.

ეს კრებული, ისევე, როგორც მისი წინამორბედები, ვერ გამოქვეყნდებოდა საქართველოში მოქმედი მნიშვნელოვანი ინსტიტუტების, მათ შორის, **საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს** მხარდაჭერის გარეშე. ჩვენ, ასევე, გამოვხატავთ მადლიერებას საქართველოს მოქალაქეების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლების და მედიის მიმართ ჩვენი სამუშაოს მუდმივი მხარდაჭერისათვის და მათი ძალისხმევითვის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განსავითარებლად. ასევე, მათი წვლილის მიმართ დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლის გაძლიერებისთვის, რაც დემოკრატიული პროცესების განვითარებაში გამოიხატება.

**კორნელი კაკაჩია**

**საქართველოს პოლიტიკის  
ინსტიტუტის დირექტორი**



რა პოლიტიკური პრეპერენციები აქვთ  
ქალ ამომრჩევლებს საქართველოში?

თეონა ზურაბაშვილი



## მოკლე შინაარსი

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში რადიკალური პოლიტიკური პოლარიზაციით მართულმა პოლიტიკურმა პროცესმა საზოგადოებრივი ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ მნიშვნელოვნად შეამცირა. პარტიებისადმი შემცირებული ნდობა განსაკუთრებით პრობლემური ჩანს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში, რომლის გათვალისწინებითაც ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში, ერთ-ერთ მთავარ საკითხად პოლიტიკური პარტიების გაძლიერების და შესაბამისი, დემოკრატიული შეჯიბრებითობის გაჯანსაღების აუცილებლობა დგას. აღნიშნული მიზნისთვის კი, მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებამდე პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლონ ამომრჩეველთა სხვადასხვა სეგმენტის შესწავლა და მათი მოთხოვნების ადეკვატურად ასახვა საარჩევნო პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში.

ამომრჩეველთა სხვადასხვა სეგმენტის იდენტიფიცირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი ქალია. ემპირიული კვლევებით დასტურდება, რომ ქალ ამომრჩეველს კაცებისგან განსხვავებული პოლიტიკური პრეფერენციები და შესაბამისად, განსხვავებული მოლოდინები აქვთ პოლიტიკური პარტიებისგან. დასავლურ დემოკრატიებში მიღებულ ამ მიდგომას,

მოცემულ პოლიტიკის ნარკვევში შემოთავაზებული ანალიზიც მეტწილად ადასტურებს - საქართველოში მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული სოციალური და ეკონომიკური საკითხებია. თუმცა, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემებთან ერთად, ქალებისთვის ასევე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებული შემთხვევები. აღნიშნული ფაქტორები კი, თავის მხრივ, ხაზს უსვამენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საჭიროებას, მიზნობრივად ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ქალების მიმართ ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას.

დასკვნის სახით, მოცემულ პოლიტიკის ნარკვევში პოლიტიკური პარტიებისთვის შეთავაზებულია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება ამომრჩეველთა ქალი სეგმენტის პრეფერენციების შესწავლა და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების საარჩევნო პროგრამაში გათვალისწინება.

**საკვანძო სიტყვები:** ქალი ამომრჩეველი, პოლიტიკური პარტიები, სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები, ქალთა მიმართ ძალადობა, ქალების ეკონომიკური გაძლიერება

## შესავალი

უკანასკნელ წლებში, საქართველოში პოლიტიკური პროცესი რადიკალიზებულ და არასაგნობრივ პარტიათაშორის დაპირისპირებად გადაიქცა. აღნიშნულის შედეგი კი შეიძლება იყოს ის, რომ ამომრჩეველთა უმეტესობას არც ერთი პოლიტიკური პარ-

ტია საკუთარი ინტერესების წარმომადგენლად არ მიაჩნია და ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული. პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის არსებული გაუცხოება კი, თავის მხრივ, არღვევს

პოლიტიკური პროცესის დემოკრატიულ მექანიზმს, რაც დამატებითი გამოწვევაა ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლის ფონზე. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ წელზე მეტია დარჩენილი და ამომრჩეველთა საერთო უკმაყოფილების ფონზე, ამკარაა, რომ როგორც მმართველმა, ისე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იზრუნონ ამომრჩევლის ყველა სეგმენტის იდენტიფიცირებაზე, მათი კონკრეტული საჭიროებების საკუთარ პროგრამებში ჯეროვნად ასახვაზე და ყველაფერი უნდა გააკეთონ ამ საკითხებზე საზოგადოების მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელზეც შესაძლოა პარტიები ფოკუსირდნენ,

ქალი ამომრჩეველია. ქალი ამომრჩევლისთვის აქტუალური სპეციფიკური საკითხები დიდი ხანია პოლიტიკური ელიტების ყურადღების მიღმა რჩება მაშინ, როდესაც ისინი ამომრჩევლის 52% შეადგენენ. აღნიშნულ დისკუსიაზე დაყრდნობით, მოცემული პოლიტიკური ნარკვევის მიზანია, გაანალიზოს თუ რა საკითხებია პრიორიტეტული ქალი ამომრჩევლებისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უპასუხონ ამომრჩევლის დაკვეთას პოლიტიკურმა პარტიებმა ელექტორალური წარმატების მისაღწევად. ქალი ამომრჩევლის პოლიტიკური პრეფერენციების იდენტიფიცირებისთვის, მოცემულ პოლიტიკის ნარკვევში გაანალიზებულია საქართველოში 2022 და 2023 წლებში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები.

## ფოკუსირება ქალ ამომრჩეველზე – პრაგმატული არჩევანი პოლიტიკური პარტიებისთვის

საზოგადოებრივი გამოკითხვების მიხედვით, საქართველოში უკანასკნელ წლებში გაიზარდა იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომელსაც მიაჩნია, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება (NDI 2022, 2023). ამის პარალელურად, მოქალაქეები ნეგატიურად აფასებენ როგორც მმართველი პარტიის, ასევე ოპოზიციური პარტიების საქმიანობას ((NDI 2022, 2023). ამავდროულად, მოქალაქეთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ არც ერთი პარტია მათ ინტერესს არ გამოხატავს ((NDI 2022, 2023). ამ ფონზე კი, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად უფრო და უფრო რელევანტური ხდება კითხვა, თუ რა სტრატეგიებს აირჩევენ პოლიტიკური პარტიები ელექტორალური წარმატების მისაღწევად და რა საკითხები იქნება მათთვის პრიორიტეტული წინასაარჩევნო მზადების პროცესში.

არჩევნებამდე ერთ წელზე მეტია დარჩენილი და ამომრჩეველთა საერთო უკმაყოფილებისა და მათი პოლიტიკური პარტიების მიმართ გაუცხოების ფაქტორი ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში კიდევ ერთხელ წარმოაჩენს გადაუდებელ აუცილებლობას, რომ როგორც მმართველმა, ისე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა ამომრჩევლის ყველა სეგმენტის იდენტიფიცირება, მათი კონკრეტული საჭიროებების საკუთარ პროგრამებში ჯეროვნად ასახვა და აღნიშნული პრობლემების გადაჭრის შესახებ საკუთარი ხედვების საზოგადოებამდე მიტანა მოახდინონ. ამ მხრივ კი, პოლიტიკური პარტიების მხრიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა, შესაძლოა, ამომრჩეველთა და მათი პოლიტიკური პრეფერენციების გენდერულ ქრილში

განხილვა აღმოჩნდეს. პოლიტიკური ქცევის თვალსაზრისით გენდერული განსხვავების შესწავლა პოლიტიკური მეცნიერების განსაკუთრებული ყურადღების საგანია (Duvverger 1955, Lipset 1981, Almond and Verba 1963). კონსოლიდირებულ თუ განვითარებადი დემოკრატიების ანალიზის საფუძველზე, არსებობს ემპირიული დადასტურება იმის, რომ ქალებს კაცებისგან განსხვავებული პოლიტიკური პრეფერენციები და შესაბამისად, განსხვავებული მოლოდინებიც აქვთ პოლიტიკური პარტიებისგან (Jelen et al, 1994, Norris 2007). შესაბამისად, აღნიშნულ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ გენდერული თვალსაზრისით გამმიჯნავ ხაზებზე ფოკუსირება მნიშვნელოვანი მიდგომაა პოლიტიკური ქცევის ასახსნელად (Knutson 2001).

ამ მხრივ, გენდერულ ჭრილში ამომრჩევ-

ელთა საჭიროებებისა და პოლიტიკური პრეფერენციების იდენტიფიცირება განსაკუთრებით რელევანტური შეიძლება ჩანდეს საქართველოს კონტექსტში. ცესკოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ქართული ელექტორატის ნახევარზე მეტი (52.3%) ქალია (Cesko 2020). კერძოდ კი, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ქალი ამომრჩეველი უმრავლესობას შეადგენდა 30-60 და 61+ ასაკობრივ ჯგუფებში (51,9% და 61,34% შესაბამისად). ხოლო, 18-29 წლის ამომრჩევლებში მათი წილი 48,17% იყო (Cesko 2020). შესაბამისად, არჩევნებამდე პერიოდში ამომრჩეველთა მთლიანი სურათიდან ამ ცალკეული სეგმენტის გათვალისწინება და მათი პრობლემების პარტიულ დღის წესრიგში შეტანა შესაძლოა პრაგმატული ნაბიჯიც აღმოჩნდეს პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც ამომრჩეველთა ნდობის მნიშვნელოვან ნაკლებობას განიცდიან.

## აქვთ თუ არა საქართველოში ქალ ამომრჩევლებს განსხვავებული პოლიტიკური პრეფერენციები

ლიტერატურა, რომელიც შეისწავლის ელექტორალურ ქცევასა და გენდერს შორის ურთიერთკავშირს აღნიშნავს, რომ გენდერული განსხვავება მოქმედებს როგორც პარტიულ კუთვნილებაზე, ასევე პოლიტიკური საკითხების პრიორიტიზირებასა და ხმის მიცემის არჩევანზეც (Inglehart and Norris 2000, Hartevelde et al, 2017). ერთერთ მიზეზად, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს შორის პოლიტიკურ პრეფერენციებში განსხვავებას განაპირობებს, მოდერნიზაცია სახელდება, რომელმაც სოციალურ, პოლიტიკურ, თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალის როლი წინ წამოსწია. შრომით ძალაში ქალების თანამონაწილეობის ფონზე კი, ქალები ტრადიციული ძალაუფლების

სტრუქტურას დაუპირისპირდნენ და მემარჯვენე პარტიების მხარდაჭერიდან არჩევანი მემარცხენე პარტიებზე გააკეთეს (Inglehart and Norris 2000, Banducci and Karp 2000). გარდა იმისა, რომ მოდერნიზაციამ ეკონომიკის სიმძიმის ქალებზე გადანაწილება გამოიწვია და ქალების დღის წესრიგში შესაბამისი პოლიტიკური პრეფერენციები დააყენა (Inglehart and Norris 2003), გენდერული სოციალიზაციის თეორია ამტკიცებს, რომ კაცებისგან განსხვავებით, ქალებს უფრო მეტად აქვთ განვითარებული სოციალური ჰარმონიის გრძნობა და ამიტომ მათთვის პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისას პრიორიტეტული ეგალიტარული ფასეულობებია (Block and Block 1984,


Eagly 1987, Johnson and Marini 1998, Gilligan 1982, Costa et al, 2001). ამავდროულად, ერთ-ერთი ახსნით, ოჯახისა და შვილების მიმართ ის სოციალური ვალდებულებები, რაც ქალთან ტრადიციულად ასოცირდებოდა, ქალების პოლიტიკურ პრეფერენციებში ჯანდაცვის, განათლების და სხვა სოციალური საკითხების სიჭარბეს განაპირობებს, განსხვავებით კაცებისგან, რომლებიც უფრო მეტად ეკონომიკას ან სამართლიანობას ანიჭებენ პრიორიტეტს (Croson and Gneezy 2009, Dalton and Ortegren 2011, Carlsson et al, 2010, Goldsmith et al, 2005).

აღნიშნულ ნორმატიული მიდგომებს გარ-

კვეულნილად ეხმიანება საქართველოში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების საფუძველზე გაკეთებული გენდერული პრეფერენციების ანალიზიც.

იმის მიუხედავად, რომ ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ბოლო, 2023 წლის მარტის გამოკითხვის მიხედვით, ამომრჩეველთა ქალ და მამაკაც სეგმენტის პოზიციებს შორის რადიკალური განსხვავება არ ფიქსირდება, ქვეყნის საერთო მდგომარეობისა და პოლიტიკური პარტიების შეფასების დროს, ქალი ამომრჩეველი შედარებით უფრო კრიტიკულია (დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1.** ქვეყნის მიმართულების, დემოკრატიის, აღმასრულებელი ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების შეფასება




წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი.  
 ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nm2023ge/codebook/>

მონაცემების მიხედვით, გამოკითხული ქალებიდან 26%-ს მიაჩნია, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, მაშინ როდესაც მამაკაცთა წილი, ვინც ამ დაშვებას ეთანხმება 29 %-ია. ამავდროულად, გამოკითხული ქალების მხოლოდ 37% ფიქრობს, რომ საქართველოში ამჟამად დემოკრატიაა და ამ კატეგორიაში მამაკაცთა წილი 42%-ია. ქალი და კაცი ამომრჩეველი თითქმის ერთნაირად აფასებს მთავრობის და პრეზიდენტის საქმიანობას და პოლიტიკურ პარტიებთან მათ სიახლოვეს (განსხვავება გენდერულ ჭრილში მხოლოდ 1 %-ია). ქალს და მამაკაც ამომრჩეველს შორის მცირედი განსხვავება ასევე შეინიშნება პრემიერ-მინისტრის საქმიანობის შეფასებისას, ამ მხრივ 4%-ით ნაკლებ ქალს მოსწონს პრემიერ-მინისტრის საქმიანობა, განსხვავებით კაცები-

სგან, რომელთა მაჩვენებელიც 32 %-ია.

ასევე, გენდერულ ჭრილში გარკვეული განსხვავება შეინიშნება ქვეყნის საგარეო პრიორიტეტების შეფასებისას. ფართო სურათში, საქართველოს მთავრობის გაცხადებულ მიზანს ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების შესახებ ქალ და მამაკაც ამომრჩეველთა უმრავლესობა მხარს უჭერს. თუმცა, აღნიშნული მიმართულებით, ქალთა მხარდაჭერა პროცენტულად უფრო მაღალია. ნატოში ქვეყნის გაწევრებას მხარს უჭერს გამოკითხული ქალების 91%, მამაკაცების-79%. ევროკავშირში გაწევრების თვალსაზრისით კი, ეს მხარდაჭერა ქალების სასარგებლოდ 92% და 88% შორის ნაწილდება (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2.** მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი, საქართველო გახდეს ნატოს და ევროკავშირის წევრი?




წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი.  
 ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nm2023ge/codebook/>

ამავდროულად, რუსეთთან მჭიდრო პოლიტიკურ თანამშრომლობას კაცები უფრო ემხრობიან, ვიდრე ქალები (დიაგრამა 3) და


ქალები უფრო მეტად უჭერენ მხარს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების შეზღუდვას, ვიდრე კაცები (დიაგრამა 4).

**დიაგრამა 3.** რომელ ქვეყნებთან ან გაერთიანებებთან უნდა ჰქონდეს საქართველოს ყველაზე მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა? (გთხოვთ, დაასახელეთ არაუმეტეს სამი პასუხისა)



წყარო: წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი.  
 ხელმისაწვდომია: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_March%202023%20telephone%20poll\\_Geo\\_PUBLIC%20VERSION\\_FINAL\\_03.05%20%281%29.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202023%20telephone%20poll_Geo_PUBLIC%20VERSION_FINAL_03.05%20%281%29.pdf)

**დიაგრამა 4.** რუსეთთან საქართველოს ეკონომიკურ ურთიერთობაზე თუ ვისაუბრეთ, თქვენი აზრით...




წყარო: წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი.  
 ხელმისაწვდომია: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_March%202023%20telephone%20poll\\_Geo\\_PUBLIC%20VERSION\\_FINAL\\_03.05%20%281%29.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202023%20telephone%20poll_Geo_PUBLIC%20VERSION_FINAL_03.05%20%281%29.pdf)



გენდერულ ჭრილში პოზიციებში განსხვავება უფრო მეტად თვალსაჩინოა ეროვნული

პრობლემების პრიორიტეტების მიხედვით დასახელების შემთხვევაში (დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5. ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული პრობლემა**



წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2023 წლის მარტი.  
 ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nm2023ge/codebook/>

როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით ჩანს, ქალი ამომრჩევლისთვის ისეთი სოციალური საკითხები, როგორცაა ინფლაცია/ფასების ზრდა, სამუშაო ადგილები და სიღარიბე პრიორიტეტთა პირველ სამეულშია. გამოკითხვის მიხედვით, ასევე ცხადია, რომ პენსიების და ხელფასების საკითხები ქალების პრიორიტეტების პირველ ხუთეულს იკავებს. ამავდროულად, მათთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია განათლების და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი.


ამ მხრივ, მამაკაცი ამომრჩევლის პრიორიტეტებშიც პირველ ადგილს სწორედ ინფლაცია/ფასების ზრდა იკავებს – ქალების და მამაკაცების ერთნაირი რაოდენობა (32%) ასახელებს აღნიშნულ საკითხს მთავარ პრობლემად. თუმცა, განსხვავებით ქალებისგან, მამაკაცების 32%-თვის ასევე თანაბრად პრიორიტეტულია ტერიტორიული მთლიანობა, რომლის მაჩვენებელიც

სიღარიბესა და სამუშაო ადგილების სიმცირესთან შედარებით შესაბამისად 2% და 3%-ით მეტია. მამაკაცების შემთხვევაში ევროკავშირის წევრობა და ხელფასების საკითხი თანაბრად მნიშვნელოვანია და პრიორიტეტთა ხუთეულში ერთნაირად ბოლო ადგილს იკავებენ 12%-ით.

თუმცა, რაც შეეხება ისეთ ეგალიტარულ ფასეულობებს, როგორცაა სიტყვის თავისუფლება, სასამართლო სისტემა, სამართლიანი არჩევნები, საკუთრების უფლება, სამართლიანობის აღდგენა, გარემოს დაცვა, უმცირესობების უფლებები და პატიმრების მდგომარეობა პრიორიტეტთა ჩამონათვალი ბოლო ადგილებს იკავებს როგორც ქალი, ასევე მამაკაცი ამომრჩევლისთვის.

ამავდროულად, NDI-ის 2022 წლის დეკემბრის გამოკითხვა აჩვენებს, რომ საქართველოში ქალები უფრო მეტად დაუცველად გრძნობენ თავს, ვიდრე კაცები (დიაგრამა 6).


**დიაგრამა 6. რამდენად დაცულად ან დაუცველად გრძნობთ თავს საქართველოში?**



წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის დეკემბერი  
 ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nd2022ge/codebook/>

გენდერული განსხვავება შეინიშნება იმ ლევი და მამაკაცები საქართველოში თავს ფაქტორთა დასახელებისას, რის გამოც ქა- დაუცველად გრძნობენ (დიაგრამა 7).

**დიაგრამა 7. რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც თავს დაუცველად გრძნობთ საქართველოში?**



წყარო: NDI საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის დეკემბერი  
 ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nd2022ge/codebook/>

ქალების დიდი ნაწილი საქართველოში დაუცველობის შეგრძნების მთავარ მიზეზად რუსულ მიგრაციას, ცუდი ხარისხის ჯანდაცვას, ქართველთა ემიგრაციას, წამლების მაღალ ფასს, ძალადობის შემთხვევებს, საქართველოში პოლიტიკური არასტაბილურობას, უცხოელთა საქართველოში მიგრაციას, კრიმინალს, განათლების დაბალი დონეს, უმუშევრობას და სიღარიბეს ასახელებს. გენდერული განსხვავება უფრო ნაკლებია რუსეთის მოქმედებების, უკრაინაში ომის, ინფლაციის დასახელებისას. ხოლო, ტერიტორიული მთლიანობა, გამოკითხვის მიხედვით, ქალებს და კაცებს თითქმის ერთნაირად აწუხებთ (ქალების 49%-მა დაასახელა ტერიტორიული მთლიანობა დაუცველობის შეგრძნების ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, აღნიშნული კი დასახელებული იყო გამოკითხულ მამაკაცთა 51 %-ის მიერ).

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ქა-

ლები კაცებთან შედარებით უფრო კრიტიკულები არიან ქვეყნის საერთო მდგომარეობის და პოლიტიკური ინსტიტუტების შეფასებისას. ქალების წილი უფრო მაღალია ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში მხარდაჭერისთვის. ამავდროულად, ჩანს, რომ ქალი ამომრჩეველი, უფრო მეტად მონინააღმდეგეა რუსეთთან პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობების ვიდრე მამაკაცი ამომრჩეველი. ეროვნული საკითხების პრიორიტეტებისას ქალებისთვის ძირითადად ისეთ სოციალური საკითხები დომინირებს, როგორცაა ინფლაცია/ფასების ზრდა, სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ხელფასები, პენსიები, განათლება, ხელმისაწვდომი ჯანდაცვა. იმ ფაქტორთა დასახელებისას კი თუ რატომ გამოც თავს დაუცველად გრძნობენ სოციალურ საკითხებთან ერთად დომინირებს რუსული მიგრაცია საქართველოში, ძალადობის შემთხვევები და ქართველთა ემიგრაცია.

## ქვეყანაში არსებულ რა პრობლემებზე მიუთითებენ ქალების პრიორიტეტები?

საზოგადოებრივი გამოკითხვებზე დაყრდნობით ქალების პოლიტიკური პრიორიტეტების შესახებ ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს შემთხვევაზე ეხმიანება გენდერული განსხვავების შესახებ გამმიჯნავი ხაზების შესახებ არსებულ მიდგომებს და ამავდროულად, საქართველოს კონტექსტში უფრო გამოკვეთს იმ ეკონომიკურ თუ სოციალური ხასიათის თავისებურებებს, რომლებიც საქართველოში ქალებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

პირველ რიგში, ქალების მიერ დასახელებული სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრიორიტეტები ერთმნიშვნელოვნად შეიძლება უკავშირდებოდეს ქვეყნის დაბალ ეკონომიკურ განვითარებას. აღნიშნულს

ასევე ადასტურებს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის 2022 წლის გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეებიდან ყოველი მეხუთე უმუშევარია, ქალების უმეტესობა ამბობს რომ დაუსაქმებელია ან დიასახლისი (NDI 2022). „ყოველ მეხუთე ოჯახს საჭმლის სამყოფი ფული არ აქვს, ყოველი მეორე ამბობს, რომ ყოფილა შემთხვევა, როცა კომუნალურის გადასახდელად ფული არ ქონია“ (NDI 2022). მოქალაქეთა უმრავლესობა ოჯახის შემოსავალს, ძირითადად, საკვებზე, კომუნალურ გადასახადებზე, წამლებსა და სესხებზე ხარჯავს (NDI 2022). თბილისის, დიდი ქალაქებისა და უმცირესობათა დასახლებების მცხოვრებთა მეოთხედს (მათ შო-

რის, ქალების 15%) ემიგრაციაში წასვლა სურთ (NDI 2022). ასევე, პრიორიტეტული განხილვის დროს, სიღარიბეა ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც გამოკითხულ მოქალაქეთა უმეტესობა თავს ქვეყანაში უსაფრთხოდ ვერ გრძნობს (NDI 2022).

მეორე მხრივ, შესაძლოა აღინიშნოს, რომ ქალის მიმართ არსებული ტრადიციული სოციალური ვალდებულებები, რაც სხვა ქვეყნებში ქალების პოლიტიკურ პრეფერენციებში ჯანდაცვის, განათლების და სხვა სოციალური საკითხების სიმრავლეს განაპირობებს, საქართველოს შემთხვევაშიც ასევე დასტურდება. ინფლაცია/ფასების ზრდა, სამუშაო ადგილები და სიღარიბე ორივე სქესის პრიორიტეტია, თუმცა, ქალები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ პენსიებს, ხელფასებს და განათლებას, ვიდრე მამაკაცები. ეს ფაქტორი, ერთი მხრივ, შესაძლოა, სოციალური ვალდებულებებით აიხსნას, მეორე მხრივ კი, ქვეყანაში არსებული ტრადიციული პატრიარქალური კულტურით, რომელიც ქალებს უმეტესწილად მემკვიდრეობისა და სანყისი კაპიტალის გარეშე ტოვებს (ქევანიშვილი 2021, GDI 2017, არავიამვილი 2015). იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანაში ქალის ეკონომიკური მდგომარეობა უმეტესად უფრო რთულია, რელევანტური შეიძლება იყოს ვარაუდი, რომ ქვეყანაში ქალების სოციალურად და ეკონომიკურად რეალიზების ერთადერთი გზა განათლება, ხელფასი და შემდგომ პენსიაა. კონსოლიდირებული დემოკრატიების მაგალითზე, მდგრადი განვითარების მიზნების წარმატებით მიღწევა გენდერული თანასწორობისა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გარეშე შეუძლებელია. თუმცა, ამ ეტაპზე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების პრიორიტეტად ჩამოყალიბებისთვის საქართველოში აქტიურად მხოლოდ დონორი ორგანიზაციები მუშაობენ (UN Women 2022) და პოლიტიკური პარტიებისთვის ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ჯერ-ჯერ-

რობით მხოლოდ პერიფერიული მნიშვნელობის საკითხად რჩება.

სიღარიბეს უნდა უკავშირდებოდეს ის ფაქტიც, რომ გენდერული სოციალიზაციის თეორია, რომლის მიხედვითაც, კაცებისგან განსხვავებით, ქალებს უფრო მეტად აქვთ განვითარებული სოციალური ჰარმონიის გრძნობა და ამიტომ მათთვის პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისას პრიორიტეტული ეგალიტარული ფასეულობებია, განხილული საზოგადოებრივი აზრის კვლევების მიხედვით არ დასტურდება (NDI 2023). ამ მხრივ, მხედველობაშია მისაღები, რომ რთული ეკონომიკური მდგომარეობა მოქალაქეებს აიძულებს, ნაკლები პრიორიტეტი მიანიჭოს ისეთი ღირებულებებს, რომლებიც მატერიალური საჭიროებების მიღმა არსებობენ (Inglehart and Welzel 2005, Lapuente and Charron 2010).

ასევე დაბალ ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბეს უნდა უკავშირდებოდეს ქალების მიერ დასახელებულ ისეთი არაეკონომიკური საკითხები, როგორცაა რუსების საქართველოში მიგრაციასთან და ქართველთა უცხოეთში ემიგრაციასთან დაკავშირებული ნუხილები, რომლის გამოც ქალი ამომრჩევლები საქართველოში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ. როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საქართველოში მიგრაცია მნიშვნელოვნად აისახა ქვეყანაში არსებული ფასების ზრდაზე და ბაზისური ხასიათის პროდუქტი თუ მომსახურება საქართველოს მოქალაქეებისთვის უფრო რთულად ხელმისაწვდომი გახადა (რადიო თავისუფლება 2022). ამასთან, რთული ეკონომიკური მდგომარეობის და სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ქვეყნიდან მოქალაქეების გადინების პროცენტული მაჩვენებელი (თოფურია 2021).

ეკონომიკური ფაქტორების გარდა, არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ისეთი საკითხი, როგორცაა ქალების მხრიდან საფრთხის განცდა ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით. სექსუალური შევიწროების და გენდერული ნიშნით მკვლევლობის გაზრდილი რისკები წარმოადგენს ინ მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ქალ ამომრჩეველზე. მაგალითისთვის, გენდერული ნიშნის გამო, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია, 2018-2022 წლებში, საქართველოში 56 ადამიანი მოკლეს ან მოკვლის მცდელობა ჰქონდათ; მათგან 21 მკვლევლობა მხოლოდ 2022 წელს მოხდა (თარხნიშვილი 2022). მიუხედავად

სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯებისა, ქალთა მიმართ ძალადობის ეფექტიანი პრევენციისთვის ჯერ კიდევ ბევრი ცვლილებაა გასატარებელი საკანონმდებლო, პოლიტიკურ თუ ინსტიტუციურ დონეზე, რასაც ქალები, წლებია, მოითხოვენ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი კი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობის სრულყოფაა; კერძოდ კი, გაუპატიურების დანაშაულის სათანადო დეფინიციის შეტანა კანონში, რომლის პრაქტიკაში დანერგვაც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს (Publika.ge 2022, საქართველოს პარლამენტი 2022).

## დასკვნა და რეკომენდაციები

ელექტორატის პოლიტიკური ქცევის ასახვად და პოლიტიკური პარტიებისთვის შესაბამისი პოლიტიკური დღის წესრიგის შესადგენად გენდერული თვალსაზრისით გამმიჯნავ ხაზებზე ფოკუსირება მნიშვნელოვანი მიდგომაა. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში რადიკალიზებულმა პოლიტიკურმა გარემომ და არასაგნობრივმა და ვინროპარტიულმა დისკუსიამ, საქართველოში პოლიტიკური სივრცე მოქალაქეებზე ორიენტირებული პოლიტიკისგან მოასუფთავა. ამის ფონზე კი, პოლიტიკურ პარტიებს ყურადღების მიღმა რჩებათ ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ქალი ამომრჩეველი ელექტორატის მნიშვნელოვან სეგმენტს, 52%-ს შეადგენს, რომელთაც გარკვეულწილად მამაკაცებისგან განსხვავებული და მკაფიოდ გამოკვეთილი პოლიტიკური პრეფერენციები აქვთ. როგორც საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს, ქალი ამომრჩეველი მამაკაცებთან შედარებით უფრო კრიტიკულია ქვეყნის მდგომარეობის და პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებისას, ხოლო საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო მკაფიოდ

აჩვენებს ქვეყნის პრო-დასავლური კურსის მხარდაჭერას. ეროვნული დონის გამონვევების დასახელებისას ქალები მეტ პრიორიტეტს ანიჭებენ სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, ხოლო, იმ ფაქტორთა დასახელებისას, რის გამოც ქვეყანაში თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობენ, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან ერთად მათთვის ასევე დომინირებს საქართველოში რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიგრაცია, ქართველების ემიგრაცია და ძალადობის შემთხვევები. ქალების პოლიტიკურ პრიორიტეტთა უფრო სიღრმისეულ განხილვა კი თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საჭიროებას, მიზნობრივად ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებისა და ქალების მიმართ ძალადობის პრევენციისთვის აუცილებელი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას აჩვენებს. აღნიშნული ანალიზი, თავის მხრივ, გარკვეულ სამოქმედო გეგმას სთავაზობს პოლიტიკურ პარტიებს, ამომრჩეველთა ქალ სეგმენტზე მუშაობისას, თუ რა მიმართულებით შეიძლება ფოკუსირება.

იმ ფონზე, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა დროა დარჩენილი, მნიშვნელოვანია, პოლიტიკურმა პარტიებმა გაითვალისწინონ ქალი ამომრჩევლების პოლიტიკური პრეფერენციები და ისინი პოლიტიკურ დღის წესრიგში ასახონ. ეს მიდგომა ერთი მხრივ, ქალებს, რომლებიც ამომრჩეველთა ნახევარზე მეტს წარმოადგენენ, საკუთარი ინტერესებისა პოლიტიკური პარტიების მიერ წინ წამოწეულ საკითხების მეტ თანხვედრას აჩვენებდა და გარკვეულწილად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა პოლიტიკური პარტიების

მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაზრდისთვის. მეორე მხრივ, კი ხელს შეუწყობდა საგნობრივ საკითხებზე პარტიული პოლიტიკის წარმოებას და ჯანსაღ რელსებზე გადაიყვანდა პარტიებს შორის პოლიტიკურ კონკურენციას.

შესაბამისად, პოლიტიკის ნარკვევში მოცემული ქალ ამომრჩეველთა საჭიროებების ანალიზზე დაყრდნობით, ნარკვევში შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიებისთვის:

### პოლიტიკურმა პარტიებმა:

- მათ მიმართ შემცირებული საზოგადოებრივი ნდობისა და ამომრჩეველთა კონფიდურაციის გათვალისწინებით, ელექტორალური წარმატების მისაღწევად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ქალ ამომრჩეველთა პოლიტიკური პრეფერენციების იდენტიფიცირებას და მათი საჭიროებების პოლიტიკურ დღის წესრიგში შეტანას;
- ამისათვის, საზოგადოების მაქსიმალურად ფართო ჩართულობით შეიმუშაონ ქალი ამომრჩევლისთვის პრიორიტეტული საკითხების წინ წამოწევის სტრატეგიული გეგმა;
- იმ ფონზე, რომ ქალი ამომრჩევლისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევათა უმეტესობა ქვეყნის სიღარიბეს უკავშირდება, წინასწარჩვენო კამპანიების დროს ამომრჩეველს წარუდგინონ სიღარიბის დაძლევის და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ კონკრეტული, გაზომვადი გეგმა;
- ეკონომიკურ პროგრამასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციისას დეტალურად განიხილონ ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებისა და საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ მზარდი მიგრაციის შემცირების გეგმა;
- საარჩევნო პროგრამის შემუშავებისას ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ჩამოაყალიბონ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად, ფოკუსირდნენ ეროვნულ და სექტორულ სტრატეგიებსა თუ სამოქმედო გეგმებში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხებზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებაზე;
- პროგრამულად უპასუხონ ქვეყანაში ძალადობის კუთხით ქალების წინაშე არსებულ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას და შეიმუშაონ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის გეგმა, რომელსაც განახორციელებენ საკანონმდებლო, პოლიტიკურ და ინსტიტუციურ დონეზე;

- საარჩევნო პროგრამის შემუშავებისას ფოკუსირდნენ ჯანდაცვის სექტორულ პროგრამაზე, რომელიც აქცენტირებული იქნება მაღალხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე;
- საარჩევნო პროგრამის შემუშავებისას იდენტიფიცირება მოახდინონ ქვეყანაში განათლების კუთხით საკანონმდებლო თუ პრაქტიკულ ნაკლოვანებებზე და ამომრჩეველს წარუდგინონ განათლების რეფორმა;
- წინასაარჩევნო კამპანიების დროს ამომრჩეველს წარუდგინონ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისგან მომდინარე მზარდ მიგრაციასთან გამკლავების კონკრეტული გეგმა, რომელსაც განახორციელებენ საკანონმდებლო თუ პოლიტიკურ დონეზე;
- წინასაარჩევნო კამპანიების დროს ამომრჩეველს წარუდგინონ რუსეთის ფედერაციაზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირების კონკრეტული გეგმა.

## ბამოყენებული ლიტერატურა:

- Almond, Gabriel A., and Sidney Verba. 1963. *The civic culture: attitudes and democracy in five nations. An analytical study.* Boston: Little, Brown and Company;
- Banducci, Susan A., and Jeffrey A. Karp. 2000. Gender, leadership and choice in multiparty systems." *Political Research Quarterly* 53, no. 4: 815-848;
- Block, Jeanne Humphrey, and Jack Block. 1984. *Sex Role Identity and Ego Development.* San Francisco, CA: Jossey-Bass;
- Carlsson, Fredrik, Jorge H. García, and Åsa Löfgren. 2010. Conformity and the Demand for Environmental Goods. *Environmental and Resource Economics* 47:407–21;
- Cesko.2020. ამომრჩეველთა სტატისტიკა ასაკის მიხედვით. ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/ge/amom-rchevlebi/amomrchevelta-siashi-asakobrivi-statistika> ბოლოჯერ ნანახია: 1 მაისი, 2023;
- Charron, Nicholas, and Victor Lapuente. 2010. Does democracy produce quality of government? *European journal of political research* 49, no. 4: 443-470;
- Costa Jr, Paul, Antonio Terracciano, and Robert R. McCrae. 2001. Gender Differences in Personality Traits Across Cultures: Robust and Surprising Findings. *Journal of Personality and Social Psychology* 81:322–31;
- Crosan, Rachel, and Uri Gneezy. 2009. Gender Differences in Preferences. *Journal of Economic Literature* 47:448–74;
- Dalton, Derek, and Marc Ortegren. 2011. Gender Differences in Ethics Research: The Importance of Controlling for the Social Desirability Response Bias. *Journal of Business Ethics* 103:73–93;
- Duverger, Maurice. 1955. *The Political Role of Women.* Paris, France: UNESCO.
- Eagly, Alice H. 1987. *Sex Differences in Social Behavior. A Social-role Interpretation.* Hillsdale, NJ: Erlbaum;
- Gilligan, Carol. 1982. In *A Different Voice: Psychological Theory and Women’s Development.* Cambridge, MA: Harvard University Press;
- Goldsmith, Ronald E., Ronald A. Clark, and Barbara A. Lafferty. 2005. Tendency to Conform: A New Measure and its Relationship to Psychological Reactance. *Psychological Reports* 96: 591–4;
- Harteveld, Eelco, Stefan Dahlberg, Andrej Kokkonen, and Wouter Van Der Brug. "Gender differences in vote choice: Social cues and social harmony as heuristics." *British Journal of Political Science* 49, no. 3 (2019): 1141-1161;
- Inglehart, Ronald and Welzel, Christian. 2005. *Modernization, cultural change and democracy: The human development sequence.* New York: Cambridge University Press;
- Inglehart, Ronald, and Pippa Norris. 2000. The developmental theory of the gender gap: Women’s and men’s voting behavior in global perspective." *International Political Science Review* 21, no. 4: 441-463;
- Inglehart, Ronald, and Pippa Norris. 2003. *Rising tide: Gender equality and cultural change around the world.* Cambridge University Press;
- Jelen, Ted G., Sue Thomas, and Clyde Wilcox. 1994. The Gender Gap in Comparative Perspective: Gender Differences in Abstract Ideology and Concrete Issues in Western Europe. *European Journal of Political Research* 25: 171-86;
- Johnson, Monica K., and Margaret M. Marini. 1998. Bridging the Racial Divide in the United States: The Effect of Gender. *Social Psychology Quarterly* 61:247–58;
- Knutsen, Oddbjørn. 2001. Social class, sector employment, and gender as party cleavages in the Scandinavian countries: A comparative longitudinal study, 1970–95. *Scandinavian Political Studies*, 24 (4): 311–50;



- Lipset, Seymour M. 1981. Political man. The social bases of politics. Baltimore: The Johns Hopkins University Press;
- Norris, Pipa. 2007. New feminist challenges to the study of political engagement. In The Oxford handbook of political behaviour, eds. R. J. Dalton, and H.-D. Klingemann, 725–43. Oxford: Sage;
- Publika.ge. 2022. ფემიციდის განმარტება კანონში და გაუპატიურების მუხლის შეცვლა – „ქალთა მოძრაობა“ მთავრობას მიმართავს. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://publika.ge/femicidis-ganmarteba-kanon-shi-da-gaupatiurebis-mukhlis-shecvla-qalta/> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023;
- UN Women. 2022. ქალთა სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება. ხელმისაწვდომია: <https://georgia.unwomen.org/ka/what-we-do/economic-empowerment> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023;
- არავიაშვილი, მაია. 2015. მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://shorturl.at/eghH4\\_bolojer](https://shorturl.at/eghH4_bolojer) ნანახია: 4 მაისი, 2023;
- ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI). 2022. საზოგადოების განწყობა საქართველოში. 2022 წლის დეკემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები. ხელმისაწვდომია: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_December%202022%20poll\\_public%20version\\_Geo\\_final\\_0.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_December%202022%20poll_public%20version_Geo_final_0.pdf) ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023;
- ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI). 2023. საზოგადოების განწყობა საქართველოში 2023 წლის მარტში ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვის შედეგები. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia\\_March%202023%20telephone%20poll\\_Geo\\_PUBLIC%20VERSION\\_FINAL\\_03.05%20%281%29.pdf](https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_March%202023%20telephone%20poll_Geo_PUBLIC%20VERSION_FINAL_03.05%20%281%29.pdf) ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023;
- თარხნიშვილი, ნინო. 2022. ახალი წელი ქალების გარეშე – ფემიციდი 2022 წელს. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/axali-weli-qalebis-gareSe-femicidi-2022-wels/32195641.html> ბოლოჯერ ნანახია: 3 მაისი, 2023;
- თოფურია, თეა. 2021. რატომ მიდიოდნენ საზღვარგარეთ ადრე და რატომ მიდიან ახლა – მიზეზები იცვლება. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31544281.html> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023;
- რადიო თავისუფლება. 2022. კობა გვენეტაძის თქმით, რუსეთიდან და ბელარუსიდან მიგრაციამ ფასების ზრდას შეუწყო ხელი. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32101305.html> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023;
- საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). 2017. GDI: ქალები საკუთრების უფლების რეგისტრაციით კაცებს თითქმის ყველა რეგიონში ჩამორჩებიან. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://liberali.ge/news/view/28547/GDI-qalebi-sakutrebis-uflebis-registratsiit-katsebs-titqmis-yvela-regionshi-chamorchebi-an> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023;
- საქართველოს პარლამენტი. 2022. პარლამენტის წევრთა ერთი ნაწილის განცხადება ქალთა მიმართ ძალადობასთან და ფემიციდთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://parliament.ge/media/news/deputatebis-gantskhadeba-kalta-mimart-dzaladobastan-da-femitsidtan-dakavshirebit> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023;
- ქევანიშვილი, ეკა. 2021. გოგოების დაკარგული მემკვიდრეობა ანუ მეც შვილი ვარ! ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://shorturl.at/hKLOP> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.



ქალი ამომრჩეველი ქართული  
პოლიტიკური პარტიების დღის  
წესრიგში

უთმა კაკაბაძე



## მოკლე შინაარსი

როგორც ბოლო პერიოდში ჩატარებულმა არჩევნებმა და მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენებმა ცხადყო, პოლიტიკური პოლარიზაცია და ერთპარტიული მმართველობა ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის შემაფერხებელ გამოწვევად რჩება. შექმნილი სტატუს-კვოს გარღვევაში და ინკლუზიური დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაში გადამწყვეტი როლი ენიჭება პოლიტიკური სპექტრის გამრავალფეროვნებას და მდგრადი მულტიპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც პოლიტიკური პარტიები შეასრულებენ ქართველი ამომრჩევლების დაკვეთას. ამ მიმართულებით კი, თავის მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისეთი საარჩევნო კამპანიის წარმოებას, რომელიც ამომრჩევლთა კონკრეტულ სეგმენტებზე და მათ ინტერესებსა და საჭიროებებზე იქნება მორგებული.

ეს პოლიტიკის ნარკვევი იკვლევს, თუ რამ-

დენად აისახება საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში ამომრჩევლთა სხვადასხვა სეგმენტის ინტერესები და საჭიროებები და რამდენად ახერხებენ ქართული პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლთა ინტერესების დაკმაყოფილებას. უფრო კონკრეტულად, თუ რამდენად ახერხებენ ეს პოლიტიკური სუბიექტები ქალი ამომრჩევლის, რომელიც ელექტორატის ნახევარზე მეტს შეადგენს, მოთხოვნების ასახვას საკუთარ დღის წესრიგში. დასკვნის სახით ამ პოლიტიკის ნარკვევში შესაბამისი აქტორებისთვის შეთავაზებულია რეკომენდაციები, რათა უფრო ეფექტურად მოხდეს არსებულ გამოწვევებთან გამკლავება და ხელი შეეწყოს საქართველოში ინკლუზიური დემოკრატიის გაძლიერებას.

**საკვანძო სიტყვები:** ქალი ამომრჩეველი, პოლიტიკური პარტიები, წინასაარჩევნო კამპანია, ინკლუზიური დემოკრატია

## შესავალი

საქართველოში ჩატარებულმა უკანასკნელმა არჩევნებმა 2021 წლის ოქტომბერში, კიდევ ერთხელ ნათელი გახადა ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური სურათი. ერთპარტიული მმართველობა ხელისუფლების ყველა რგოლზე, პოლიტიკური პოლარიზაცია და „მონოპოლიზირებული“ პოლიტიკური ველი (ზურაბაშვილი 2021, 2) კვლავ ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის შემაფერხებელ გამოწვევად რჩება. სტატუს-კვოს გარღვევაში და ინკლუზიური დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. გადაუწყვეტელი ამომრჩევლის გულის მოგებას, რომლის რაოდენობაც 2022 წლის

დეკემბრის გამოკითხვებით 39%-ია (Caucasus Barometer 2022). ამომრჩევლის ამ სეგმენტის პოლიტიკურ პროცესებში უფრო აქტიურად ჩართვა და პარტიებთან დაახლოება ხელს შეუწყობს პოლიტიკური სპექტრის გამრავალფეროვნებას და მდგრადი მულტიპარტიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

პოლიტიკური პარტიებისთვის პოტენციური ამომრჩევლის რაოდენობის გაზრდისთვის აუცილებელია ელექტორატის კონკრეტული სეგმენტების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე მორგებული წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება თუ სტრატეგიის დანერგ-

ვა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ქალ ამომრჩეველთან, როგორც ელექტორატის უმნიშვნელოვანეს ნაწილთან მუშაობის სტრატეგია. არსებობს მთელი რიგი საკითხები და გამოწვევები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის ამ სეგმენტისთვის არის უფრო მეტად რელევანტური, თუმცა პოლიტიკური პარტიების პლატფორმებში ძალიან მცირე ადგილი ეთმობა, რაც თავის მხრივ ხელს არ უწყობს ამომრჩეველსა და პარტიების დღის წესრიგს შორის დაახლოებას.

2023 წლის მონაცემებით, კაცების საშუალო ხელფასი ქალებისას 711 ლარით აღემატება (Business Formula 2023), ხოლო ასაკობრივი პენსიის მიმღებთა თითქმის 71% ასევე ქალია (Business Media Georgia 2023). მიუხედავად იმისა, თუ რა შეიძლება იყოს ამის მიზეზები: ქალების დასაქმების სფეროებში დაბალი ანაზღაურება, უფრო მაღალი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ქალებს შორის, თუ სხვა, ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე რომ სქესის მიხედვით ამომრჩეველი ჰომოგენური არ არის და ცალკე აღებული ქალი ამომრჩეველი მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო კამპანიები, სტრატეგიები თუ პროგრამები მათზე მორგებულიც უნდა იყოს. პოლიტიკურ პარტიებს მათზე მუშაობა არამხოლოდ უფრო მეტი ელექტორატის მობილიზების საშუალებას მისცემს, არამედ შესაძლოა ხელი შეუწყოს არსებული ორპოლუსიანი ველის გარღვევას და ქართველ ამომრჩეველსა და პოლიტიკურ სუბიექტებს შორის

ე.წ. „ხიდრატეხილობის“ პრობლემის დაძლევას (ხურციძე 2016).

ამ პოლიტიკის ნარკვევის მიზანია, 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიებსა და პროგრამებზე დაყრდნობით გაანალიზოს თუ რამდენად ახერხებენ ქართული პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველის ამ კონკრეტულ სეგმენტზე გასვლას. თუ რამდენად არის ასახული ამ პოლიტიკურ პარტიებში ქალი ამომრჩეველისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და თუ რამდენად არის ისინი ამ სეგმენტისთვის რელევანტური. უფრო კონკრეტულად, გაანალიზებული იქნება ხუთი პოლიტიკური პარტიის, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც 2020 წლის საპარლამენტო, ასევე 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ლელო, სტრატეგია აღმაშენებელი, ევროპული საქართველო) წინასაარჩევნო პროგრამები და კამპანიები და თუ რამდენად აისახებოდა მათ საარჩევნო დღის წესრიგში ქალი ამომრჩეველების ინტერესები და პრიორიტეტები.

ამ ნაშრომის მიზანია, ასევე, დასკვნისა და რეკომენდაციის სახით მკითხველს შესთავაზოს ის ძირითადი სტრატეგიები რაც პოლიტიკურ პარტიებმა უნდა გაითვალისწინონ, რათა ქალ ელექტორატზე ორიენტირების გზით საკუთარი ამომრჩეველების რაოდენობა გაზარდონ და გაამრავლოფეროვნონ.


# ქართული პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური მახასიათებლები

საქართველოში არსებული მენისტრიმული პოლიტიკური პარტიები, მიუხედავად მათი დიდი რაოდენობისა, ძირითადად, ერთფეროვანია და **იდეოლოგიური ხედვებით ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდება**. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ჩატარებული ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოში არსებული ძირითადი პოლიტიკური პარტიების პლატფორმები, მემარცხენე-მემარჯვენე ეკონომიკურ სპექტრზე, ძირითადად, ცენტრისტულია, ხოლო ყველაზე იშვიათად გვხვდება გამოკვეთილად მემარჯვენე შეხედულებების

მქონე აქტორები. ეს ცენტრისტული პარტიები ბევრად უფრო ადვილად იცვლიან იდეოლოგიურ პოზიციებს/შეხედულებებს პოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე, ხოლო ისეთ საკითხებში, რომელიც ეხება ჯანდაცვას ან სოციალურ სფეროს, პარტიების უმრავლესობა მემარცხენე ხედვებს ავლენს. (პაპავა და თევდორაძე 2020) პოლიტიკური სპექტრის ასეთი იდეოლოგიური ერთფეროვნება, თავის მხრივ ამომრჩევლისთვის ართულებს რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას (დიაგრამა 1).

**დიაგრამა 1.** სქესის მიხედვით: გჯერათ თუ არა, რომ საქართველოში ერთი პარტია მაინც წარმოადგენს თქვენს ინტერესებს?

**PARTREP: არსებობს თუ არა საქართველოში ერთი პარტია მაინც, რომელიც თქვენს ინტერესებს გამოხატავს?  
x RESPSEX: რესპონდენტის სქესი (%)**



NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის დეკემბერი  
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

წყარო: NDI: Public attitudes in Georgia, December 2022.  
ხელმისაწვდომია <https://caucasusbarometer.org/en/nd2022ge/codebook/>

2022 წლის დეკემბრის მონაცემები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა, მიუხედავად სქესისა, **ვერცერთ პარტიას ვერ ხედავს როგორც მისი ინტერესების წარმომადგენელს**. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ახასიათებს ე.წ. **ელიტური აფექტური პოლარიზაცია**, რაც გულისხმობს პოლიტიკურ აქტორებს შორის ემოციურ და არა საგნობრივ დისკურსს. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტად უშლის ხელს ამომრჩევლის ჩართულობის გაზრდას, ვინაიდან ის ვერ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან (სამხარაძე 2022, 3). მოსახლეობის წილი, რომელიც შეიძლება როგორც მეტ-ნაკლებად ემოციურად პოლარიზებულად დახასიათდეს, მხოლოდ მესამედია (სილაგაძე 2023).

ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ გადაუწყვეტელი ამომრჩეველი მცირე პოლიტიკური პარტიებისთვის დიდ, მაგრამ ჯერ კიდევ აუთვისებელ რესურსს წარმოადგენს.

შესაბამისად, **პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იმუშაონ მათგან „გაუცხოებული“ ამომრჩევლის მოთხოვნებისა და საჭიროებების ანალიზზე**. რაც თავის მხრივ ელექტორატის მიმართ სეგმენტურ მიდგომას მოითხოვს. კერძოდ, იმისთვის რათა პოლიტიკურმა პარტიებმა შეძლონ ამ „გაუცხოებული“ ელექტორატის მოზიდვა, აუცილებელია ისეთი საარჩევნო კამპანიის წარმოება, რომელიც იქნება ინკლუზიური და გაითვალისწინებს ამომრჩეველთა განსხვავებული ჯგუფების ინტერესებს.

## ქალი ამომრჩევლის ინტერესები და საჭიროებები საქართველოში

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა აჩვენებს, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობაში (3, 713 804) ქალების წილი დაახლოებით 52%-ს შეადგენს (1, 940 940) (საქსტატი 2014). ცესკოს 2020 წლის მონაცემებით, საპარლამენტო არჩევნების წინ ქალი ამომრჩეველი უმრავლესობას შეადგენდა 30-60 და 61+ ასაკობრივ ჯგუფებში (51,9% და 61,34% შესაბამისად), ხოლო, 18-29 წლის ამომრჩევლებში მათი წილი 48,17% იყო (CESKO 2020).

ამავდროულად, კვლევები აჩვენებს, რომ არჩევნებზე აქტივობის თვალსაზრისით, როგორც წესი, მამაკაცი ამომრჩეველი უფრო მეტადაა ჩართული, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. მთელი ქვეყნის მასშტაბით, კაცებისა და ქალების აქტივობას შორის საშუალო სხვაობა 5-6%-ია (ბაგრატია 2020,

7-8). ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს მნიშვნელოვანი პოტენციური და სივრცე, რომელიც სწორი სტრატეგიის შემთხვევაში, პოლიტიკურ პარტიებს ხმების საგრძნობ ნაწილს შემატებს. თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია **ქალ ამომრჩევლებზე მიმართულ საკითხებს დღის წესრიგის მიღმა ტოვებს**.

იმისთვის, რათა გაიზომოს თუ რამდენად არის გათვალისწინებული ან ასახული ქალი ამომრჩევლის პრიორიტეტი და საჭიროებები პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დღის წესრიგში, ჯერ აუცილებელია განისაზღვროს თუ რა შეიძლება იყოს ელექტორატის ამ კონკრეტული სეგმენტის ინტერესები. ეს პოლიტიკის ნარკვევი 2017 წლის ბრიტანეთის არჩევნების ანალიზის მსგავსად ფოკუსირდება სამ თემაზე და იმაზე თუ რამდენად აისახება ისინი პარ-



ტიების სტრატეგიებსა და პროგრამებში. ეს საკითხებია: **პოლიტიკა (policy) რომელიც ქალებისთვის პრიორიტეტულია; პოლიტიკური საკითხები რომელიც უშუალოდ ქალებზე ახდენს გავლენას და პოლიტიკები რომელიც მიმართულია გენდერს შორის უთანასწორობის აღმოფხვრაზე** (Annesley and Gains

2017). ქვემოთ განხილული იქნება, თუ რა არის საქართველოში ქალი ამომრჩევლისთვის ყველაზე საინტერესო ამ სამი მიმართულებით და თუ რამდენად ითვალისწინებს/ასახავს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დაპირებები და პროგრამები ამ ინტერესებს.


**ქართველი ქალი ამომრჩევლების მხარდაჭერილი პრიორიტეტული პოლიტიკა**

2022 წლის დეკემბრის საზოგადოებრივი კვლევის მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ **კაც და ქალ რესპონდენტთა შეხედულებებს შორის სხვაობა ძირითადად სოციალური თემების გარშემო იკვეთება**. კვლევა აჩვენებს, რომ ქალი ამომრჩევლისთვის, პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისეთი საკითხები, რომლებიც ორიენტირებულია ოჯახის ღირებულებზე, შვილების მომავალზე, ხოლო იდეოლოგიას ნაკლები როლი აკისრია (ბაგრატია 2020, 17-22). 2022 წლის მოსახლეობის აზრის გამოკითხვა კი აჩვენებს, რომ მაგალითად, მათ შორის ვინც ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხების ჩამონათვალში ხელმისაწვდომი ჯანდაცვა ახსენა ქალები 6%-ით მეტია ვიდრე კაცები (დიაგრამა 2).

რეზულტებზე, შვილების მომავალზე, ხოლო იდეოლოგიას ნაკლები როლი აკისრია (ბაგრატია 2020, 17-22). 2022 წლის მოსახლეობის აზრის გამოკითხვა კი აჩვენებს, რომ მაგალითად, მათ შორის ვინც ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხების ჩამონათვალში ხელმისაწვდომი ჯანდაცვა ახსენა ქალები 6%-ით მეტია ვიდრე კაცები (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2.** სქესის მიხედვით: ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი – ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

**NATHCARE: ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხები – ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება x RESPSEX: რესპონდენტის სქესი (%)**



NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის დეკემბერი  
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

წყარო: NDI: Public attitudes in Georgia, December 2022.  
ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nd2022ge/codebook/>

NDI-ის იმავე მონაცემების მიხედვით, ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად განათლება ქალების 15%-მა დაასახელა, მაშინ, როდესაც კაცებში ეს მაჩვენებელი მისი თითქმის ნახევარი – 8% იყო (Caucasus Barometer 2022).

ასეთი სხვაობის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ როგორც წესი ოჯახის შიდა საქმეები


რომელიც ეხება ბავშვების აღზრდას, განათლებას, ექიმთან ვიზიტს და ა.შ. ქალის პასუხისმგებლობაა (ბაგრატია 2020). შესაბამისად, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ მოსახლეობის ამ სეგმენტს აქვს ყოველდღიური შეხება ამ სფეროებთან და მათში არსებული გამოწვევები მისთვის პრიორიტეტულია.

**პოლიტიკური საკითხები რომლებიც უშუალოდ ქალებზე ახდენს გავლენას**

არსებობს პოლიტიკური საკითხები, რომელიც უშუალოდ ქალ ამომრჩეველზე ახდენს გავლენას და სწორედ ამიტომ შესაძლოა კაცი პოლიტიკოსების ყურადღების მიღმა დარჩეს. მაგალითისთვის, საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გენდერული უთანასწორობა არაერთ სფეროში. ამის განსაკუთრებულად კარგი მაგალითია სხვაობა რომელიც არსებობს საშუალო ხე-

ლფასებს შორის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ქალ და მამაკაც დასაქმებულთა შორის საშუალო თვიურ ანაზღაურებას შორის სხვაობა სტაბილურად იზრდება (დიაგრამა 3) რაც მნიშვნელოვანი საკითხია და არ უნდა დარჩეს პოლიტიკური პარტიების მხრიდან უყურადღებოდ.

**დიაგრამა 3.** დასაქმებულთა საშუალო ხელფასი გენდერის მიხედვით.



წყარო: საქსტატი.


ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პირდაპირ ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალ ამომრჩეველზე ეს არის სექსუალური შევიწროების და გენდერული ნიშნით მკვლევლობის გაზრდილი რისკები. NDI-ის

2022 წლის გამოკითხვები, აჩვენებს რომ მათ შორის ვინც ამბობს რომ ხანდახან სექსუალური თავდასხმის შიში აქვს, ქალთა წილი 69%-ია, ხოლო ხშირად ვისაც აქვს ეს განცდა, მათში – 84% (დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4.** სქესის მიხედვით: რამდენად ხშირად ნერვიულობთ სექსუალური თავდასხმის საფრთხეზე.

**RESPSEX: რესპონდენტის სქესი  
x WORSEAS: რამდენად ხშირად ღელავთ, რომ სექსუალურად  
შეგავიწროებენ/იძალადებენ (%)**



NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის დეკემბერი  
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

წყარო: NDI: *Public attitudes in Georgia, December 2022.*

ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nd2022ge/codebook/>

არანაკლებ მწვავედ დგას ქალების მკვლევლობა ან მათი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა, მხოლოდამხოლოდ გენდერული ნიშნის გამო.<sup>1</sup> ეს ყველაფერი კი მიუთითებს იმ გამოწვევებზე, რომელიც მნიშვნელოვან

ნია ქალი ამომრჩევლებისთვის საარჩევნო კონტექსტში და რასაც სათანადო ყურადღება სჭირდება პოლიტიკური პარტიების მხრიდან.

<sup>1</sup> მაგალითისთვის, 2018-2022 წლებში, მხოლოდ იმიტომ, რომ ქალია, საქართველოში 56 ადამიანი მოკვლეს ან მოკვლის მცდელობა ჰქონდათ (თარხნიშვილი 2022).


**პოლიტიკები რომელიც მიმართულია გენდერს შორის უთანასწორობის აღმოფხვრაზე**

ბოლოდროინდელი კვლევები ასევე აჩვენებს იმასაც, რომ ქალი ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი წარმომადგენლობის გაზრდა. მაგალითისთვის, NDI-ის 2022 წლის დეკემ-

ბრის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით, მათ შორის, ვინც მიიჩნევს რომ პარლამენტში ქალი და კაცი დეპუტატების წილი თანაბარი უნდა იყოს, კაცთა წილი ნახევარზე ნაკლებია (39%) (დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5.** სქესის მიხედვით: რა იქნებოდა ქალი და კაცი პარლამენტარების პარლამენტში საუკეთესო გადანაწილება?

**RESPSEX: რესპონდენტის სქესი  
x BESTPRP: როგორი იქნებოდა ქალი და კაცი პარლამენტარების საუკეთესო გადანაწილება პარლამენტში? (%)**



NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის დეკემბერი  
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

წყარო: NDI: *Public attitudes in Georgia, December 2022.*

ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nd2022ge/codebook/>

ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ არსებული სტატუს-კვოს შეცვლა და საკუთარი წარმომადგენლობის გაზრდა ქალი ამომრჩევლის მოთხოვნას წარმოადგენს რაც მნიშვნელოვანი გზავნილია პარტიებისთვის.

ობიექტურობისთვის, ბოლო პერიოდში ამ

მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა გენდერული კვოტები, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური პარტიის მიერ შედგენილ საპარლამენტო სიაში ყოველი მეოთხე ქალი უნდა იყოს (2028 წლის არჩევნებიდან კი – ყოველი მესამე). მიუხედავად ამისა, საყურადღებოა ის ფაქტი

რომ, თუ 2016 წლის მონვევის პარლამენტში ქალების რაოდენობა დეპუტატების მეოთხედს (24,3%-ს) შეადგენდა (სოციალური სამართლანობის ცენტრი, 2020), 2020 წლის მონვევის პარლამენტში (30 მაჟორიტარის და ოპოზიციის ჩახსნილი სიების გათვალისწინებით), ქალი დეპუტატების წილი 19%-ია.

ეს ყოველივე კი თავის მხრივ მეტყველებს იმ სირთულეებზე, რასაც ქალები აწყდებიან და თუ რატომ უჭირთ მათ საკუთარი ინტერესებისა თუ დღის წესრიგის ადვოკატი-

რება ქართულ პოლიტიკაში. თავის მხრივ კი, პოლიტიკური პარტიების, განსაკუთრებით კი ე.წ. შუაშისტი პარტიების ინტერესებში უნდა იყოს ამომრჩევლის ამ სეგმენტზე მუშაობა და მათი ხმების მოზიდვა. ქალ ელექტორატში მსგავსი მოთხოვნის არსებობა, რომ გაიზარდოს მისი წარმომადგენლობა საკანონმდებლო ორგანოში, აჩენს სივრცეს რომლის ათვისებაც პოლიტიკურ პარტიებს საშუალებას მისცემს უფრო მეტ ამომრჩეველზე გავიდნენ და მოიზიდონ ელექტორატის ე.წ. გადაუნყვეტელი ნაწილი.

## ქალი ამომრჩევლისთვის საინტერესო საკითხები პოლიტიკური პარტიების პლატფორმაში

პოლიტიკური პარტიების 2020 და 2021 წლის წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი აჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პარტიების უმრავლესობას, ქალი ამომრჩევლის გამონვევებისთვის დამოუკიდებელი ქვეთავი არ აქვს მიძღვნილი, მათი სტრატეგიები და პროგრამა თუ როგორ უნდა გადანყდეს ეს პრობლემები ძალიან ზოგადია და ხშირ შემთხვევაში ზედაპირულიც კი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები კიდევ უფრო მეტად დაძაბულ ფონზე წარიმართა, ვიდრე საპარლამენტო არჩევნები. ერთი მხრივ, ოპოზიციური პარტიის გადმოსახედიდან ეს იყო ე.წ. რეფერენდუმი რამაც კიდევ უფრო მეტად არია პოლიტიკური დღის წესრიგი და მეორეხარისხოვანი გახადა სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე ფოკუსირებული პოლიტიკური პარტიების პლატფორმები თუ დაპირებები (კვაშილავა 2021).

მაგალითისთვის, ქალთა პოლიტიკაში ჩარ-

თულობის ნახალისების და გაძლიერების საკითხს 2020 წლის პროგრამები მხოლოდ ზოგადად ეხება და აღნიშნავენ, რომ ახალისებენ „ქალთა ჩართულობას არა მხოლოდ პარტიულ საქმიანობისას ან გადანყვეტილების მიღების პროცესში,“ არამედ მაქსიმალურად ხელს უწყობენ „მეტი ქალის ჩართვას ქვეყნის პოლიტიკურ პროცესში“ (partiebi.ge 2020). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპული საქართველო გენდერული კვოტირების წინააღმდეგია (იკითხე პოლიტიკა 2020), მაშინ, როდესაც ლელოს წინასაარჩევნო პლატფორმა, ამ მხრივ, ბევრად უფრო კონკრეტულია და ისეთ გეგმებს მოიცავს, როგორიცაა სახელმწიფო თანამდებობებზე მინიმუმ 40%-ის ქალებისთვის დათმობას ან საჯარო სექტორში გენდერულად დაბალანსებულ საკადრო პოლიტიკას (partiebi.ge 2020). თუმცა, მიუხედავად ამისა, ლელოს მიმართ რაიმე განსაკუთრებული მხარდაჭერა ქალ ამომრჩეველში არ შეიმჩნევა, რაც შეიძლება ისეთი წინასაარჩევნო კამპანიის არარსებობით აიხსნას, რომელიც უშუალოდ ქალ ამომრჩეველს მიემართება.

ასევე ძალიან ზოგადია მმართველი პარტიის საარჩევნო პროგრამა ამ მიმართულებით. უფრო კონკრეტულად კი, პროგრამაში საუბარია იმაზე, რომ „შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის მიზნით, ხელი შეეწყობა ქალთა მონაწილეობის გაზრდას როგორც საკანონმდებლო ინიციატივებით, ისე სხვადასხვა პროგრამების ამოქმედებით“ (ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 2020, 20). სტრატეგია აღმაშენებლის შემთხვევაში კი გენდერულ თანასწორობასთან და ქალთა გაძლიერებასა თუ პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები ცალკე ქვეთავად არ იყო გამოყოფილი. თუმცა ეს საკითხები აქტიურად განიხილებოდა ამომრჩეველთან შეხვედრებზე (იკითხე პოლიტიკა 2020).

საკმაოდ ბუნდოვანია და ფაქტობრივად ჯეროვნად არ არის ასახული პარტიების უმრავლესობის პლატფორმებში **დასაქმებულთა სამუშაო ხელფასებს** შორის გენდერული ნიშნით სხვაობა. ლელოს წინასაარჩევნო პლატფორმა ითვალისწინებდა შრომის ანაზღაურებასა და დასაქმების პროცესში გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრისთვის საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავებას (partiebi.ge 2020), თუმცა გაურკვეველია რამდენად მოახერხა პარტიამ ამ საკითხის აქტუალიზირება. სტრატეგია აღმაშენებლის შემთხვევაში კი, ეს საკითხი შეიძლება ფრაგმენტულად ამოვიკითხოთ. კერძოდ, პროგრამაში განერილი იყო ხელფასების ზრდა და სამუშაო პირობების გაუმჯობესება ისეთ სექტორებში, სადაც ძირითადად ქალები არიან დასაქმებული, თუმცა არაპირდაპირ გენდერულ უთანასწორობაზე აპელირებით (იკითხე პოლიტიკა 2020). ცალკე სახელფასო უთანასწორობის აღმოფხვრაზე არ არის საუბარი არც ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და არც ევროპული საქართველოს 2020 წლის პროგრამაში რაც ბუნებრივია ვერ აღძრავდა ქალ ამომრჩევლების განსაკუთრებულ ინტერესებს ამ

პარტიებისადმი. ხოლო მმართველი პარტიის პროგრამა ძალიან ზოგადად ეხება ამ საკითხს, რომ „შრომის ბაზარზე გენდერული თანასწორობის მიზნით, ხელი შეეწყობა ქალთა მონაწილეობის გაზრდას როგორც საკანონმდებლო ინიციატივებით, ისე სხვადასხვა პროგრამების ამოქმედებით“ (ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 2020, 28).

**გენდერული ნიშნით ძალადობა** პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო პროგრამებში გარკვეულწილად ნახსენებია, თუმცა ძალიან ზოგადად. ევროპული საქართველოს პროგრამაში არ გვხვდება ქალთა გამონკვევების აღიარება და მათი გადაჭრისკენ მიმართული კონკრეტული ინიციატივები (იკითხე პოლიტიკა 2020). მმართველი პარტიის პროგრამაში ზოგადად საუბარია ქალთა მიმართ ძალადობის და დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების დანერგვაზე (ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 2020, 20), ხოლო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პროგრამაშიც, მსგავსად ქართული ოცნებისა, ზოგად თეზისად არის მოხსენიებული „ქალების მიმართ ძალადობის პრევენციის მექანიზმების“ გაძლიერება და ქალთა გაძლიერება გადანყვეტილების მიღების დონეზე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – ძალა ერთობაშია 2020, 25). ხოლო ლელოს პლატფორმაში ხაზგასმული იყო ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციული პოლიტიკა (იკითხე პოლიტიკა 2020). თუმცა მთლიანობაში, პარტიების პოლიტიკურ პლატფორმებში კონკრეტული ნაბიჯების და სამოქმედო გეგმის ნაკლებობაა. საბოლოო ჯამში, ხუთი ძირითადი პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო პლატფორმების ანალიზი აჩვენებს, რომ წინასაარჩევნო კამპანიები და პლატფორმები მხოლოდ

ზედაპირულად ან ნაწილობრივ არიან მორგებული ქალ ამომრჩეველთა ინტერესებზე. მიუხედავად იმისა, მოსახლეობის ეს სეგმენტი ელექტორატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, პოლიტიკური სუბიექტების დღის წესრიგს ძირითადად განსაზღვრავს უფრო გლობალური საკითხები, როგორცაა პოლარიზაცია ან ევროინტეგრაცია.

ეს საკითხები გადაფარავენ იმ სფეროებს, რომლებიც კვლევის საწყისს ეტაპზე იქნა იდენტიფიცირებული: პოლიტიკა (policy) რომელიც ქალებისთვის პრიორიტეტულია; პოლიტიკური საკითხები რომელიც უშუალოდ ქალებზე ახდენს გავლენას და პოლიტიკები რომელიც მიმართულია გენდერს შორის უთანასწორობის აღმოფხვრაზე.

## დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც უკვე აღინიშნა, ბოლოდროინდელი კვლევები მიუთითებენ, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის არცერთი პოლიტიკური პარტია მის შეხედულებებთან ახლოს არ დგას. ხოლო, გამომდინარე იქიდან, რომ ქალი ამომრჩეველი ელექტორატის ნახევარზე მეტია, ამ კონკრეტულ სეგმენტზე მორგებულ წინასაარჩევნო კამპანია პოლიტიკური პარტიებისთვის აჩენს შესაძლებლობას, მნიშვნელოვნად გაზარდონ საკუთარი ამომრჩეველი. ხოლო სათანადო პოლიტიკური სტრატეგიების არსებობისა და ქალი ამომრჩეველებთან მუდმივი ჩართულობის უზრუნველყოფის შემთხვევაში მათ ასევე შეუძლიათ შეამცირონ ამომრჩეველების ამ სეგმენტის პარტიებისადმი გაუცხოება და კონკრეტული ნაბიჯები გადადგან ე.წ ხიდ-ჩატეხილობის პრობლემის მოსაგვარებლად.

თუმცა, როგორც ამ პოლიტიკის ნარკვევის ფარგლებში ჩატარებული კვლევისას გამოიკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტიები აღიარებენ ქალთა გაძლიერების მნიშვნელობას და ზოგიერთი სუბიექტი საარჩევნო პროგრამაში ცალკე ქვეთავადაც კი გამოყოფს, ამ მიმართულებით გადასადგემილი ნაბიჯები ძალიან ზოგადია და კონკრეტული აკლია. ეს კი, თავის მხრივ შესაძლოა გავლენას ახდენდეს იმაზე, თუ რამდენად მიმზიდველია ქალი ამომრჩეველისთვის ესა თუ ის პარტია და თუ რამდენად შესწევს ამ პოლიტიკურ ჯგუფს ელექტორატის ამ სეგმენტზე გასვლა. არსებულ გამონკვევებზე საპასუხოდ კი, ეს პოლიტიკის ნარკვევი პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო, აკადემიურ და ჟურნალისტურ წრეებს სთავაზობს რეკომენდაციებს.

### რეკომენდაციები ქართულ პოლიტიკურ პარტიებს

- პარტიებში აქტიურად მოხდეს ფოკუს ჯგუფების, ინტერვიუების, გამოკითხვების და მსგავსი კვლევების გამოყენება, რათა უკეთ იქნას შესწავლილი ამომრჩეველთა კონკრეტული სეგმენტი და მათი საჭიროებები.
- პარტიებში სხვადასხვა შიდაპარტიული მექანიზმებით მოხდეს ქალი

პოლიტიკოსების მხრიდან საზოგადოებასთან ქალების საჭიროების შესახებ მუდმივი კომუნიკაციის გაძლიერება.

- დაინერგოს და გაძლიერდეს ისეთი პოლიტიკური პლატფორმები და ფორუმები რომელიც უზრუნველყოფს ქალი ამომრჩეველის ჩართულობას პარტიების დღის წესრიგის

შემუშავებაში.

- პოლიტიკურმა პარტიებმა უფრო კონკრეტულად და დეტალურად ჩამალონ საკუთარ საარჩევნო პლატფორმებში ქალებისთვის მნიშვნელოვან საკითხების (ხელფასებს შორის დისბალანსი, ძალადობა გენდერული ნიშნით და ა.შ.) გადანყვე-

ტის გეგმები.

- პოლიტიკურმა პარტიებმა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას, მიუხედავად იმ მომენტში არსებული ფართო მნიშვნელობის საკითხებისა, გაითვალისწინონ ის ძირითადი გზავნილები რაც ქალი ამომრჩევლისთვის იქნება რელევანტური.

### **მედია საშუალებებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და აკადემიურ წრეებს**

- მედია საშუალებებმა წინასაარჩევნოდ დაიგეგმონ სპეციალური გადაცემები, რომელიც მიეძღვნება ქალი ამომრჩევლის საჭიროებებს და ამ საკითხებზე დისკუსიას.
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა და აკადემიურმა წრეებმა ხელი შეუწყონ ქალ ამომრჩეველსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის კომუნიკაციას და მუდმივმოქმედი დიალოგების ფორმატის ჩამოყალიბებას.
- მედია საშუალებებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და აკადემიურმა წრეებმა ამოაწყონ შეხვედრები

და დისკუსიები სადაც პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები უპასუხებენ ქალი ამომრჩევლების კითხვებს და ისაუბრებენ მათ საჭიროებებზე.

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ხელი შეუწყონ ქალ ამომრჩეველზე ორიენტირებული კვლევების წარმოებას და შესაბამისი ნაშრომების გამოქვეყნებას.
- საზოგადოების მაქსიმალურად ფართო ჩართულობით შემუშავდეს ქალი ამომრჩევლის საკითხების წინწამონევის სტრატეგიული გეგმა და გაიწეროს კონკრეტული ნაბიჯები.



## გამოყენებული ლიტერატურა

- ბაგრატია, თამარ. 2020. ქალი ამომრჩევლის ელექტორალური ქცევის ირაციონალური და რაციონალური ასპექტები. EECMD. ხელმისაწვდომია: [https://droa.ge/wp-content/uploads/2020/10/5-saarCevno-bloki-„er-Tiani-nacionaluri-moZraoba-gaerTianebuli-opozicia-„Zala-erTobaSia.pdf](https://eecmd.org/ka/publication/qali-amomrCevlis-eleqtor/ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;</a></p>
<p>ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“. 2020. საარჩევნო პროგრამა. ხელმისაწვდომია: <a href=) ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- ზურაბაშვილი, თეონა. 2022. პოლიტიკური პოლარიზაცია – მოჯადოებული წრე თუ ხელიდან გამვებული შესაძლებლობა პატარა პარტიებისთვის? პოლიტიკის მემორანდუმი №50, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/ka/publication-post/political-polarization-a-vicious-circle-or-a-missed-opportunity-for-small-political-parties/> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- თარხნიშვილი, ნინო. 2022. ახალი წელი ქალების გარეშე – ფემიციდი 2022 წელს. რადიო თავისუფლება. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/axali-weli-qalebis-gareSe-femicidi-2022-wels/32195641.html> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- იკითხე პოლიტიკა. 2020. Heinrich-Böll-Stiftung. ხელმისაწვდომია: <https://feminism-boell.org/ka/person/ikitxe-politika> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- კვაშილავა, ბაკურ. 2021. თბილისის მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების მიმოხილვა 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის. EECMD. ხელმისაწვდომია: <https://eecmd.org/ka/publication/> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- პაპავა, გიორგი. თევდორაძე, ლევანი. 2020. მარჯვენა თუ მარცხენა: როგორია პარტიების ეკონომიკური ხედვა? – საარჩევნო კომპასი-საქართველო. Business Media Georgia. ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/ka/article/marjvniv-tu-marcxniv-rogoria-partiebis-ekonomikuri-xedva---saarchevno-kompasi-saqartvelo/67154> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- სამხარაძე, ნინო. 2023. ქალთა პოლიტიკური გაძლიერება და საქართველოს დემოკრატიზაცია: რატომ არის მნიშვნელოვანი პარლამენტის ინკლუზიურობა?“ პოლიტიკის ნარკვევი №47, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/ka/publication-post/qalta-politikuri-gadziereba/> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- საქსტატი. 2014. მოსახლეობა და დემოგრაფია. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- სილაგაძე, გივი. 2023. პარტიულობა და ემოციური პოლარიზაცია საქართველოში. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, საქართველო. ხელმისაწვდომია: [https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Projects/GEOPartisanship%20and%20Affective%20Polarization\\_NED.pdf](https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Projects/GEOPartisanship%20and%20Affective%20Polarization_NED.pdf) ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- სოციალური სამართლიანობის ცენტრი. 2020. EMC გენდერულ კვოტაზე და მის მნიშვნელობაზე. ხელმისაწვდომია: <https://socialjustice.org.ge/ka/products/emc-genderul-kvotaze-da-mis-mnishvnelobaze> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო. 2020. საარჩევნო პროგრამა. ხელმისაწვდომია: <https://gd.ge/uploads/programs/b5045f9c70101fae8.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- ხურციძე, თიკო. 2016. გადაუწყვეტელი ამომრჩევლის ფენომენი და ქართული არჩევნები. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/ka/gadauwyveteli-amomrCevl/> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;

- Annesley, Claire. Gains, Francesca. 2017. General election 2017 – Is gender still on the agenda? How parties appeal to women voters. The University of Manchester. ხელმისაწვდომია: <https://blog.policy.manchester.ac.uk/posts/2017/05/general-election-2017-is-gender-still-on-the-agenda-how-parties-appeal-to-women-voters/> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- Business Formula. 2023. საქართველოში კაცების საშუალო ხელფასი ქალებისას 711 ლარით აღემატება. ხელმისაწვდომია: <https://businessformula.ge/News/13073> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- Business Media Georgia. 2023. საქართველოში ასაკით პენსიონერთა 71% ქალია. ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/ka/article/saqartveloshi-asakit-pensionerta-71-qalia/126694> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- Caucasus Barometer. 2022. NDI: Public attitudes in Georgia, December 2022. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/en/nd2022ge/NATEDU-by-RESPSEX/> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- CESKO. 2020. ამომრჩეველთა სტატისტიკა ასაკის მიხედვით. ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/ge/amomrchevlebi/amomrchevelta-siashi-asakobrivi-statistika-> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;
- Partiebi.ge. 2020. შეადარეთ პოლიტიკური პროგრამები თემატურად. ხელმისაწვდომია: <https://partiebi.ge/2020/geo/home> ბოლოჯერ ნანახია: 28 აპრილი, 2023;

ქალთა პოლიტიკური ჩართულობა:  
უილკარტიული მექანიზმები და  
გამოწვევები

სალომე კანდელაკი



## მოკლე შინაარსი

ქალთა პოლიტიკური ჩართულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია როგორც პარტიების შესაბამისი შიდა სტრუქტურული მონყობა, ისე გენდერული თანასწორობის სამართლებრივი და ინსტიტუციური გარანტიები. დღესდღეობით საქართველოს 2020 წლის მონვევის საპარლამენტო პარტიების შიდაპარტიული მექანიზმები მხოლოდ ქალთა საჭიროებების გამოვლენას და მათ რეკრუტირებას უზრუნველყოფს და არა მათ პოლიტიკურ გაძლიერებას. ხოლო რაც შეეხება საკანონმდებლო დონეზე სამართლებრივ ცვლილებებს, გენდერული კვოტირების საკითხი ფორმალურად ზრდის ქალთა რაოდენობას პოლიტიკაში, თუმცა ჩართულობის ხარისხობრივი თვალსაზრისით წარმომადგენლობით ორგანოებში კვლავ დიდი გამოწვევები დგას საზოგადოებაში გამჯდარი გენდერული სტერეოტიპებისა და გენდერული თანასწორობის საკითხის კაცი პოლიტიკოსების მხრიდან არასერიოზულად აღქმის გამო. აღსანიშნავია, რომ ქალთა პოლიტიკური გაძლიერების თვალსაზრისით ინსტიტუციურ მექანიზმები, როგორცაა პარლამენტში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭო, მეტად ინკლუზიური

და ქმედითია, ვიდრე ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებული გენდერული საბჭოები, რაც იმაზე მიუთითებს რომ რეგიონებში გენდერული თანასწორობის საკითხზე ნაკლები ცოდნა და ინტერესი არსებობს.

აღნიშნული პოლიტიკის ნარკვევში გაანალიზებულია, თუ რამდენად და რა ფორმით ხდება 2020 წლის მონვევის საპარლამენტო პარტიებში ქალების შიდაპარტიული ჩართულობის ნახალისება, რა მექანიზმებს მიმართავენ ისინი და რა გამოწვევები არსებობს ამ მხრივ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. პოლიტიკის ნარკვევი ეფუძნება ოფიციალური დოკუმენტებისა და პოლიტიკოსების ინტერვიუების ანალიზს. ნაშრომის ბოლოს შემოთავაზებულია კონკრეტული რეკომენდაციები პარტიებში გენდერული თანასწორობის და ზოგადად ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ქალთა პოლიტიკური გაძლიერება, შიდაპარტიული სტრუქტურა, გენდერული კვოტირება.

## შესავალი

საქართველოში ქალთა პოლიტიკური ჩართულობა კვლავ გამომწვევად რჩება. განსაკუთრებით პრობლემურია ქალი პოლიტიკოსების პარტიებში ლიდერულ პოზიციებზე შიდა პარტიულ დემოკრატიული პრინციპების მიხედვით არჩევა. თუმცა, პოლიტიკაში ქალთა თანაბარი პოლიტიკური ჩართულობა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა, შესაბამისად ქალების ყოფნის გარეშე ვერ იქნება უზრუნველყოფილი თანასწორობა და მოსახლეობის ყველა ჯგუფის ინტერე-

სის თანაბრად ასახვა. ამას მოწმობს NDI-ის გამოკითხვის შედეგებიც, რის თანახმადაც, 48%-დან 56%-მდე გაიზარდა იმ ადამიანების რიცხვი რომლებიც მიიჩნევენ რომ ქალებს და მამაკაცებს მათი ინტერესების გატარება თანაბრად შეუძლიათ და ასევე სურთ რომ მეტი ქალი იხილონ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე (NDI 2023, დიაგრამა 1). აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პარტიებმა დაიწყონ საკუთარი შიდაპარტიული მონყობის გადახედვა და 2024 წლის არჩევნებისთვის გენდერულად მეტად დაბა-

ლანსებული გუნდის წარდგენა.

საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებში სავალდებულო გენდერული კვოტირების შემოღებამ ნაწილობრივ გაზარდა ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობა, მაგრამ ის თუ რამდენად ავთენტურია პრაქტიკაში მათი პოლიტიკური პოზიციონირება და შიდა პარტიულ დონეზე გადამწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, ამის გარკვევა მხოლოდ არსებული პოლიტიკური პრაქტიკის შეფასების საფუძველზეა შესაძლებელი. ამის გათვალისწინებით, პოლიტიკის ნარკვევის მიზანია გაანალიზდეს, თუ რამდენად და რა ფორმით ხდება 2020 წლის მონვევის საპარლამენტო პარტიებში ქალების შიდაპარტი-

ული ჩართულობის ნახაღისება და რა გამოწვევები არსებობს ამ მხრივ პარტიებში. ასევე, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, თუ რამდენად უწყობს ხელს მათ მიერ გამოყენებული ტაქტიკები ქალი ამომრჩევლების პრობლემებისა და საჭიროებების ადვოკატირებას.

პოლიტიკის ნარკვევში წარმოდგენილი ანალიზი დაფუძნებულია არსებული ლიტერატურის, ანგარიშების, სტატისტიკური მონაცემებისა და საპარლამენტო პოლიტიკურ პარტიებთან პირისპირ, ან წერილობითი ინტერვიუს ჩატარების და შიდაპარტიული სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვის საფუძველზე.

## რამდენად იყენებენ საპარლამენტო პარტიები ქალების პოლიტიკაში ჩართვის სამართლებრივ და ინსტიტუციურ მექანიზმებს?

ქალ წევრებთან მიმართებით საპარლამენტო პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული სტრუქტურის და შიდაპარტიული დემოკრატიის მექანიზმების გაანალიზებამდე, მნიშვნელოვანია მიმოხილულ იქნას, თუ რა ფორმალური ინსტრუმენტები არსებობს ქვეყანაში პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად და რამდენად მიმართავენ ამ ბერკეტებს პარტიები. ქალების პოლიტიკაში ჩართულობის უპირველესი სამართლებრივი გარანტორი საქართველოს **კონსტიტუციაა**, რის მიხედვითაც უზრუნველყოფილია ქალისა და მამაკაცის უფლებები და შესაძლებლობები თანასწორობის უზრუნველსაყოფად (მუხლი 11). გარდა ამისა, შესაძლებელია გამოვეყნოთ **კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ**, რის მიხედვითაც პოლიტიკური ცხოვრების სფეროებში ორივე სქესის პირთა თა-

ნასწორი უფლებები და შესაძლებლობები ალიარებული და დაუშვებელია ამ ნიშნით დისკრიმინაცია (მუხლი 3). სამართლებრივ ჩარჩოთაგან, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი **საარჩევნო კოდექსია**. მის თანახმად არა მხოლოდ თანასწორობაა ნორმატიულ დონეზე უზრუნველყოფილი, არამედ კანონით განსაზღვრულია ისეთი წესები, რაც პარტიებს ავალდებულებს ქალების პოლიტიკაში ჩართვას. კერძოდ, გენდერული ბალანსის დაცვასთანაა დაკავშირებული “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული დამატებითი დაფინანსება (მუხლი 143). გარდა ამისა, მიუხედავად გენდერული კვოტირების მექანიზმის შემოღებისა, 2020-21 წლის არჩევნების შემდეგ ამ მხრივ გამოვლენილი ხარვეზებიდან გამომდინარე 2023 წლის თებერვალში საქა-

რთველოს პარლამენტმა 88 ხმით 3-ის წინააღმდეგ საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტების შესახებ ცვლილებები მიიღო (პარლამენტი 2023). მაგალითად, ერთადერთი მაჟორიტარი დეპუტატი იყო ნინო ლაცაბიძე, რომელიც მაჟორიტარული სიით იყო არჩეული. თუმცა საგულისხმოა რომ როდესაც ის რუსთავის მერი გახდა, მისი ჩანაცვლება კაცით მოხდა (წილოსანი 2023). ეს ერთ-ერთ იმ ხარვეზთაგანაა, რის გამოც კოდექსში ცვლილებები შევიდა.

ცვლილებები ძირითადად გენდერულ კვოტირების მოქმედების ვადის 2032 წლის ბოლომდე გადავადებას შეეხო, ასევე დაკონკრეტდა რომ 2024-დან 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში ყოველი მეოთხე სიით ქალი უნდა იყოს, ხოლო 2028 წლიდან 2032 წლის ჩათვლით თითოეული პარტიის საარჩევნო სიაში უკვე ყოველი მესამე იქნება განსხვავებული გენდერის წარმომადგენელი. გარდა ამისა, ცვლილებების თანახმად პარტიული სიით გამოკლებულ მამაკაც დეპუტატს არა მაინც და მაინც იმავე სქესის წარმომადგენელი, არამედ სიით მომდევნო ნომერი ჩაანაცვლებს. ეს ზრდის იმის ალბათობას რომ მამაკაცის ჩანაცვლება ქალით მოხდეს, რაც თავისთავად პოზიტიური შედეგი იქნება ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის თვალსაზრისით.

ერთი მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული კვოტირების შემოღებამ პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა გაზარდა. კერძოდ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით, რეგისტრირებული იყო პარტიული სიით წარდგენილი 6 882 კანდიდატი, მათ შორის 3 049 (44.30%) ქალი და 3 833 (55.70%) კაცი. ასევე, დარეგისტრირდა 490 მაჟორიტარი კანდიდატი, მათ შორის 107 (21.84%) ქალი და 383 (78.16%) კაცი (პარლამენტი 2021). არჩევნების შედეგად, მეთე მოწვევის საქა-


რთველოს პარლამენტში 150 დეპუტატიდან მხოლოდ 19.3% ქალია არჩეული. ამჟამად კი პარლამენტში ჯამში დარჩენილია 139 დეპუტატი, აქედან 112 არის კაცი, ხოლო 27 ქალი. მეორე მხრივ ყურადღებაა გასამახვილებელი იმ გარემოებაზე, რომ როდესაც გენდერული კვოტირების საკითხი დადგა დღის წესრიგში, საუბარი იყო იმაზე რომ ყოველი მეოთხე კანდიდატი პარლამენტის შემთხვევაში და ყოველი მესამე თვითმმართველობის სიაში უნდა ყოფილიყო განსხვავებული გენდერის წარმომადგენელი. თუმცა ყოველგვარი განხილვის გარეშე ავტომატურად იყო აღქმული რომ ამაში მაინც და მაინც ქალი იგულისხმებოდა. სინამდვილეში პარტიულ პროპორციულ სიებში არ იყო გამორიცხული რომ სიის პირველ ორში, ან პირველ სამშიც ყოფილიყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი კანდიდატი, თუმცა თითქმის ყველა პარტიის შემთხვევაში გამოჩნდა რომ კანონის გამო, ხელოვნურად მოუწიათ პარტიებს ქალების საარჩევნო სიაში დასახელება. მეტიც, სავალდებულო გენდერული კვოტის მოთხოვნის მიღმა, კანონით გათვალისწინებული ნამახალისებელი ფინანსური მექანიზმი მხოლოდ რამდენიმე პარტიამ გამოიყენა, შესაბამისად ეს მექანიზმი არაეფექტური გამოდგა და გადახედვას საჭიროებს (პავლიაშვილი & მუხურაძე 2022).

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციურ მექანიზმებს რაც შეეხება, ძირითადად ორი მიმართულება შეიძლება გამოვყოთ: პირველია საქართველოს პარლამენტში არსებული **გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო**. დებულებით საბჭოს უფლებამოსილებაა გენდერის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა საკანონმდებლო ბაზის მონესრიგებით, გენდერული თანასწორობის საკითხზე მომუშავე ორგანოების საქმიანობის კონტროლით, ასევე სამოქმედო გეგმის დამტკიცება და მისი შესრულების შესახებ

ანგარიშის შემუშავება (გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება 2019). ამჟამად საბჭო მუშაობს 2022-2024 წლისთვის დამტ-

კიცებული გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომლის პრიორიტეტებიც ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაშია ასახული.

**დიაგრამა 1.** გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები 2022-2024 წლებისათვის



წყარო: გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს სამოქმედო გეგმა 2022-2024 <https://web-api.parliament.ge/storage>

საგულისხმოა, რომ საბჭოს ჯამში ჰყავს 19 წევრი, როგორც ქალი (12), ისე მამაკაცი (7) წევრები მმართველი (12) და ოპოზიციური (7) პარტიებიდან (პარლამენტი 2023). აღნიშნულ საბჭოში საკითხების ინიცირებას ძირითადად ქალი დეპუტატები ახდენენ, თუმცა მის საქმიანობაში ჩართულობის მხრივ მმართველი და ოპოზიციური პარტიების წევრების შესაძლებლობები მეტწილად თანაბარია. შესაბამისად, პოზიციონირების მხრივ ოპოზიციური პარტიის წევრ დეპუტატებს შეზღუდვები არ აქვთ.

გენდერული თანასწორობის საბჭოში განსაკუთრებული ყურადღება ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას და მათ ეკონომიკურ გაძლიერებას ეთმობა. თუმცა ქალი დეპუტატების უფლებების დაცვის და დისკრიმინაციის დაგმობის კუთხით პარტიების რეაქციები ხშირად ერთგვაროვანი არ არის. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ქალი დეპუტატი ქალებს შორის სოლიდარობის ნაკლებობის და ორმაგი სტანდარტის მაგალითად მოჰყავს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ქალი დეპუტა-



ტის მიმართ მმართველი პარტიის წევრი მამაკაცის (ან უკვე პარლამენტის თავმჯდომარის) მიერ ხელით უხეშად შეხების და ტრიბუნიდან ძალით გამოყვანის შემთხვევა (რადიო თავისუფლება 2021), რაც საზოგადოდ დაიგმო, მაგრამ გენდერული საბჭოს ქალი წარმომადგენლების მხრიდან მისი თქმით რეაგირების გარეშე დარჩა (ბუჩუკური 2023). მეორე მხრივ, მმართველი პარტიის ქალი დეპუტატის ჟესტიკულაციის გამო, რომელმაც სიტყვის დასასრულელად დამატებითი წუთი მოითხოვა, მის მიმართ ჟურნალისტის მხრიდან დამცინავი ტონით საუბარი ბუღინგად აღიქვეს მმართველი პარტიის წევრებმა და ამ საკითხზე საკმაოდ მკაცრი განცხადებები გააკეთეს (პირველი არხი 2022). ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ როდესაც საკითხი დისკრიმინაციას და ადამიანის უფლებებს ეხება, პარტიებმა შეინარჩუნონ ობიექტურობა შეფასებებში და მათი პოზიციონირება არ უნდა იყოს ტენდენციური, რადგან სხვა შემთხვევაში ყველა პოზიტიური ნორმატიული ინიციატივა ფასადური ხასიათის იქნება.


მეორე ძირითადი ინსტიტუციური მექანიზმი რაც ადგილობრივ დონეზე მოქმედებს არის **საკრებულოებში და ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერული თანასწორობის საბჭოები**, რომელიც ასევე პარტიათშორის ჩართულობას და ამას დამატებული სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების აქტიურობას გულისხმობს. საგულისხმოა, რომ ადგილობრივ დონეზე ინდივიდუალურად ხდება მუნიციპალიტეტებში სამოქმედო გეგმების შემუშავება ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. 64 მუნიციპალიტეტიდან, 57-ში აქტიურად ხდება სამოქმედო გეგმის დამტკიცება (საქართველოს სახალხო დამცველი 2020). თუმცა განსხვავებით პარლამენტისგან, ადგილობრივ თვითმმართველობებში ოპოზიციური პარტიების წევრები ნაკლებად არიან საბჭოების საქმიანობაში ჩართული. მმართველი

გუნდის შეფასებით, ეს ოპოზიციური პარტიების სურვილის ნაკლებობიდან გამომდინარეობს, ხოლო ოპოზიციის შეფასებით ადგილობრივ დონეზე გენდერულ საბჭოებს სიმბოლური ხასიათი აქვთ და ძირითადად ქართულ ოცნებასთან არიან აფილირებული. ოპოზიციური პარტიების ადგილობრივ თვითმმართველობებში გენდერულ საბჭოებში ჩართულობის დაბალი დონე შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ მუნიციპალურ დონეზე პარტიების ქალი წარმომადგენლების რაოდენობა გაცილებით დაბალია კაცისაზე, განსაკუთრებით კი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების. მიუხედავად იმისა, რომ კვოტირების სისტემამ ქალების მუნიციპალურ დონეზე წარმომადგენლობა გაზარდა, გენდერული თანასწორობის მხრივ მაინც დიდი სხვაობაა, კერძოდ არჩეულია 491 ქალი და 1577 კაცი (გრაფიკი 2). პროპორციული სიით 31.4% (441) ქალი, ხოლო მაჟორიტარული წესით 7.6% (50) ქალი აირჩა (ცესკო 2021). ამიტომ, გამომდინარე იქიდან, რომ გენდერული თანასწორობის თემით ძირითადად ქალები ინტერესდებიან და თვითმმართველობებში ნაკლებად არიან ოპოზიციონერი ქალები წარმოდგენილები, შესაძლოა ესეც იყოს ოპოზიციის პასიურობის ერთ-ერთი ფაქტორი. ამასთანავე ყურადსაღებია სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, სადაც გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ დონეზე ცალკეულ მუნიციპალიტეტებში გენდერის საბჭოს შეხვედრებს კაცები ძირითადად ადრე ტოვებენ, ან ძირითადად მსმენელების როლში არიან; ისინი ვერ ასახელებენ ადგილზე არსებულ გენდერთან დაკავშირებულ გამოწვევებს, რაც მიუთითებს ამ საკითხისადმი მათი ცნობიერების დაბალ დონეზე (საქართველოს სახალხო დამცველი 2020). თუმცა ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ პარტია მოქალაქეებში, რომელთა მტკიცებითაც ქალების საჭიროებების საკითხების შესახებ ინტერესი

კაცებსაც გააჩნიათ, თუმცა ამ მხრივ პარტიების ქალი წარმომადგენლები იმიტომ აქტიურობენ, რომ ქალებს იმავე გენდერის წარმომადგენელთან უფრო უადვილდებათ

თავიანთ პრობლემებზე და საჭიროებებზე საუბარი (თურაზაშვილი 2023).

**დიაგრამა 2.** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში – საკრებულოში არჩეული წევრების შემადგენლობა (ერთეული)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), 2021  
<https://web-api.parliament.ge/storage>

## საპარლამენტო პარტიების ინდივიდუალური ტაქტიკები ქალების გასაძლიერებლად

საპარლამენტო პოლიტიკური პარტიებიდან კვლევისთვის შერჩეულია 8 პოლიტიკური პარტია, მათ შორისაა პარტია საქართველოსთვის, რომელიც პარლამენტში ცალკე პოლიტიკურ ჯგუფად არ არის გამოყოფილი, რადგან პარტია ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს პარლამენტში შესვლის შემდგომ გამოეყო. ასევე ცალკე პარტიად არის გამოყოფილი ევროპელი სოციალისტები, რომლებიც პარტია

პატრიოტთა ალიანსის შემადგენლობაში იყვნენ. თუმცა მათ მიერ ბოიკოტის ნიშნად პარლამენტის დატოვების შემდეგ, პარტიის ნაწილი დარჩა პარლამენტში და პარტია ევროპელი სოციალისტები დააარსა. აღნიშნული 8 პოლიტიკური პარტიიდან, კვლევის მიზნებისთვის 7-თან მოხერხდა დაკავშირება მათ შიდა პარტიულ სტრუქტურებში გენდერული განაწილებისა და ქალთა გასაძლიერებლად მათ მიერ შემუშავებული

მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება (დიაგრამა 3).

საგულისხმოა, რომ გენდერულად ყველაზე დაბალანსებული სტრატეგია აღმაშენებლის პოლიტსაბჭოა, სადაც 33% ქალია, ხოლო დღევანდელი მოცემულობით, გენდერულად ყველაზე უთანასწორო ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოა, სადაც ქალების ხვედრითი წილი 11%-ია და აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამ პარტიაში მიმდინარეობს განახლება. ყურადსაღებია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი პარტიებიდან მხოლოდ 3-ს აქვს დღევანდელი მოცემულობით ჩამოყალიბებული სამდივნო (ქართული ოცნება, ნაციონალური მოძრაობა და ლელო), აქედან ერთი, ნაციონალური მოძრაობა, როგორც უკვე აღინიშნა რეორგანიზაციის პროცესშია. სამი პარტიიდან მხოლოდ ლელოს ჰყავს სამდივნოში ქალი წარმომადგენლები და ასევე ხაზგასასმელია, რომ ქალები უმრავლესობაში არიან, კერძოდ 7-დან 4 ქალია. დანარჩენი 5 პარტიიდან კი ერთი, პარტია საქართველოსთვის პარტიული მშენე-

ბლობის პროცესშია, ხოლო დანარჩენებს ოფიციალურად არ გააჩნიათ სამდივნოები.

შიდაპარტიულ სტრუქტურებში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის და წარმომადგენლობის ფორმალური ნამახალისებელი მექანიზმები 8 პარტიიდან მხოლოდ 4-ს გააჩნია. კერძოდ, ქართულ ოცნებას 2022 წლიდან გააჩნია ქალთა ორგანიზაცია, ნაციონალურ მოძრაობას 2013 წლიდან აქვს ქალთა ორგანიზაცია და ან უკვე ე.წ. „ქალთა ფრთის საბჭო.“ პარტიას ლელოს საქართველოსთვის ჩამოყალიბებული აქვს ე.წ. ქალთა 12-ეულები ყველა რეგიონში და შესაბამისად ქალთა საბჭოები, თუმცა ცალკე აღებული ქალთა ორგანიზაცია არ გააჩნია. ხოლო სტრატეგია აღმაშენებელს დაფუძნების დღიდან შექმნილი აქვს ქალთა ორგანიზაცია. ოთხივე პარტიის შემთხვევაში ქალთა საბჭოები, თუ ორგანიზაციები მოიაზრებს რეგიონული ქსელების შექმნას და ამ მხრივ საქართველოს მასშტაბით ქალ ამომრჩევლებთან უკეთ შეკავშირებულობას.

### დიაგრამა 3.

პარტია	პოლიტსაბჭოში გენდერული განაწილება	პოლიტსაბჭოში ქალთა პროცენტული წილი	სამდივნოში გენდერული განაწილება	ქალთა შინაპარტიული ორგანო
ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო	14 კაცი - 4 ქალი	22%	7 კაცი - 0 ქალი	ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაცია
ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოდრაობა გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია	31 კაცი - 4 ქალი (მიმდინარეობს რეორგანიზაცია)	11%	3 კაცი - 0 ქალი (მიმდინარეობს რეორგანიზაცია)	ნაციონალური მოდრაობის ქალთა ფრთის საბჭო
ლელო – მამუკა ხაზარაძე	11 კაცი - 3 ქალი	21%	3 კაცი - 4 ქალი	ლელოს ქალთა 12-ეულები, საბჭოები
ბლოკი გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	8 კაცი - 4 ქალი	33%	●	სტრატეგია აღმაშენებლის ქალთა ორგანიზაცია
გირჩი	16 კაცი - 0 ქალი (სათათბირო)	0%	●	●
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	მიმდინარეობს რეორგანიზაცია		●	●
საქართველოსთვის	12 კაცი - 3 ქალი	20%	პარტია იმყოფება სტრუქტურული მშენებლობის პროცესში	●
ევროპელი სოციალისტები	6 კაცი - 1 ქალი	14%	●	●

წყარო: პირადი კომუნიკაცია პარტიების წარმომადგენლებთან და მათი ოფიციალური ვებგვერდების გამოყენება.

ჩამოთვლილი 2020 წლის საპარლამენტო მოწვევის პარტიებთან ინტერვიუების საფუძველზე ოთხი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა, რაც ქალების პოლიტიკაში

ჩართვას უშლის ხელს. პირველი, ეს არის ქალი პოლიტიკოსებისადმი ნაკლები სიმპათია და ნდობა, განსაკუთრებით რეგიონებში (გოგოლაძე 2023, ნილოსანი 2023,

ბუჩუკური 2023). პოლიტიკოსები თავიანთი გამოცდილებებიდან გამომდინარე აღნიშნავენ, რომ საზოგადოებაში გამჯდარი მენტალიტეტის გამო ქალ კანდიდატებს უფრო მეტი დრო სჭირდებათ საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად, ვიდრე კაც კანდიდატებს. აქედან გამომდინარე, მაშინ როცა არჩევანის გაკეთების საშუალებაა, პარტიები მაინც კაც კანდიდატებზე აკეთებენ აქცენტს.

მეორე არსებული დაბრკოლება რაც პარტიებისთვის ქალების პოლიტიკურად მოზიდვას აძნელებს არის ოჯახური ბარიერები. ზოგ შემთხვევაში, პარტიებთან საუბრისას ქალები ღიად გამოხატავენ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის სურვილს, მაგრამ შემდგომ ყოფილა შემთხვევები როდესაც ოჯახის მტკიცე დაჟინებით მათ უარის თქმა მოუწიათ პარტიულ საქმიანობაზე (ბუჩუკური 2023, გალდავა 2023, Bunyan & Liluashvili 2022).

მესამე და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვან გამოწვევად დასახელდა ქალსა და მამაკაცს შორის ოჯახური შრომის განაწილების დაბალი კულტურა. კერძოდ, ყოფილა შემთხვევები როდესაც ქალებს არავინ უზღუდავდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაგრამ შემდეგ უნებდათ სახლში წასვლა და იქაც სახლის საქმის კეთება. ამიტომ ხშირად ზედმეტად გადატვირთვის გამო ქალებს პოლიტიკურ საქმიანობასა და ოჯახურ საქმეს შორის არჩევანი ოჯახის სასარგებლოდ გაუკეთებიათ. აქედან გამომდინარე, პარტია მოქალაქეების პარლამენტის წევრი მიიჩნევს, რომ აუცილებელია შრომის განაწილებაზე ცნობიერების ამაღლება და რომ ამ მხრივ განსაკუთრებით ინტენსიურადაა მუშაობა საჭირო რეგიონებში (თურაზაშვილი 2023).

მეოთხე სენსიტიურ პრობლემად გამოიკვეთა ის, რომ ქალების მიმართ სტერეო-

ტიპული დამოკიდებულების და სექსიზმის გამო, ქალი პოლიტიკოსები უფრო განსხვავებულად განიცდიან ზენოლას იქნება ეს ფსიქოლოგიური, სექსუალური შევიწროება, თუ ონლაინ სივრცეში ბულინგი. არსებობს გარკვეული საკითხები რის გამოც ქალების რეპუტაცია შესაძლოა მკაფიოდ შეილახოს. ქალის მიმართ საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტი სიმკაცრით და ნაკლები ტოლერანტულობით გამოირჩევა. შესაბამისად, ის მიზეზები, რაც ხშირად ქალ პოლიტიკოსს გაკიცხვის და ბულინგის ობიექტად აქცევს, მამაკაცი პოლიტიკოსისთვის შესაძლოა ნაკლებად დამაზიანებელი აღმოჩნდეს, რადგან ქალის მიმართ საქართველოს მოსახლეობა უფრო მეტი სიმკაცრით და ნაკლები ტოლერანტულობით გამოირჩევა (წილოსანი 2023, Bunyan & Liluashvili 2022, ბუჩუკური 2023).

არსებული ბარიერების მიუხედავად, პოლიტიკური პარტიების ნაწილი აქტიურად ცდილობს ქალების პოლიტიკაში მოზიდვას და მათ პოლიტიკურად გააქტიურებას. ქალებთან აქტიური მუშაობის მოტივაცია ისევ ქალ პოლიტიკოსებს აქვთ, რადგან პრაქტიკიდან გამომდინარე აღნიშნავენ, რომ საქართველოს პარლამენტში ქალი დეპუტატების გაერთიანება ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ უფრო მარტივია, ვიდრე კაცი დეპუტატების (ბუჩუკური 2023). მათი გადმოსახედიდან, მიუხედავად იმისა თუ ვინ რომელ პარტიას წარმოადგენს, როცა საკითხი დგება ეროვნულ ინტერესებზე, მაშინ ქალები მეტწილად ერთიანდებიან საერთო ინტერესებისთვის (ბუჩუკური 2023, გალდავა 2023).

რვა საპარლამენტო პარტიიდან, იმ ოთხ პარტიას რომელთაც შიდაპარტიულ დონეზე ქალთა შიდასტრუქტურული ორგანოები გააჩნიათ განსხვავებული მიდგომებით ახდენენ ქალთა პოლიტიკურ ნახალისებას და მათი საჭიროებების პარტიულ დონეზე და შემდგომ საკანონმდებლო დონეზე ასახვას.

კერძოდ, ქართული ოცნება თავიანთი რესურსებიდან გამომდინარე საკმაოდ აქტიურად მუშაობს ქალ ამომრჩევლებთან ქვეყნის მასშტაბით. მათი მიდგომაა რეგიონებში ქალთა ორგანიზაციის შესახებ საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და ახალი ქალი ლიდერების გამოკვეთა. ამაში მათ ეხმარებათ გენდერული საბჭოები, რომელთაც სთხოვენ აქტიური ადამიანების იდენტიფიცირებას და ახალი ე.წ. მოკავშირეების მოზიდვას, რომელთაც შემდგომ პარტიულ ინიციატივებზე ინფორმაციას უზიარებენ და მათი პრობლემების წინ წამოწევის საშუალებას აძლევენ.

ქალთა საკითხების ეროვნულ დონეზე ადვოკატირების წარმატებულ მაგალითად დასახელდა რაჭის შემთხვევა, სადაც კოხლეთარული აპარატის საჭიროების მქონე ბევრი პირი ყოფილა. დეპუტატის თქმით, ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით, მაღალმთიან რეგიონებში კოხლეთარული აპარატის დაფინანსების სპეციალური მიმართულება გაჩნდა (წილოსანი 2023). ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში წლების განმავლობაში, თითოეულ რეგიონში მოხდა ქალთა ორგანიზაციის ოფისის გახსნა, რაც პარტიის წარმომადგენლების გადმოცემით იყო ყველაზე მძლავრი პლატფორმა ქალების შიდაპარტიულ საქმიანობაში ჩასართავად (გოგოლაძე 2023). პარტიის ხელშეწყობით, ქალები ხშირად წარმომადგენენ ნაციონალურ მოძრაობას საერთაშორისო და ადგილობრივ შეხვედრებსა და კონფერენციებზე და მათთვის ასევე ტარდება ტრენინგები ქალთა საჭიროებების მიხედვით (წარმანია და გოგოლაძე 2023). ლელოს სტრატეგია ქალების პოლიტიკაში ჩართულობის წასახალისებლად განსხვავებულია, იმ მხრივ რომ თითოეულ რეგიონში უკვე არსებული ე.წ. 12-ეულის, ანუ ქალთა საბჭოების მეშვეობით ცდილობს ქალთა ადგილობრივი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას და მათთან კომუ-

ნიკაციისთვის ციფრული, მესიჯის სისტემისა და ონლაინ ჩართვების გამოყენებას, მათ შორის ანგარიშვალდებულების კუთხითაც. ონლაინ ჩართვები ასევე გამოიყენება ქალ ემიგრანტებთან დასაკავშირებლადაც. ლელო ძირითადად წარმომადგენლობით ორგანოებში ცდილობს პოზიციების გამოყენებას, ქალების სოციალური საკითხების წინ წამოწევის გზით. სტრატეგია აღმაშენებელს რაც შეეხება, დებულებით ქალთა ორგანიზაცია ორიენტირებულია ქალთა უფლებების დაცვაზე, ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდაზე და ქალთა ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერების საკითხებზე. ასევე, პარტიის მხარდამჭერი ქალების რეგიონული ქსელების შექმნაზე. პარტია ქალებისთვის ატარებს ტრენინგებს საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებითაც, რათა ქალთა მონაწილეობის გაძლიერების კუთხით სხვა ქვეყნების გამოცდილებაც იქნეს გაზიარებული (ჩიხლაძე 2023).

დანარჩენ ოთხ პარტიას რაც შეეხება, პარტია საქართველოსთვის და მოქალაქეები ერთმანეთის მსგავსად ხსნიან, რომ მათ პარტიაში ქალები საკმაოდ ჭარბად არიან წარმომადგენილები და სრულად ჩართულები გადანწყვეტილების მიღების პროცესში. მოქალაქეებმა ცალკე არ გამოკვეთეს პარტიაში ქალების მიმართულება, რადგან მიიჩნევენ, რომ ზოგადად ადამიანის უფლებებია დასაცავი. თუმცა აღნიშნავენ, რომ მათ უფრო მეტი ქალი ჰყავთ პარტიაში ვიდრე კაცი (თურაზაშვილი 2023). პარტია საქართველოსთვის პოლონეთის ეუთო/ოდირის ოფისის დახმარებით მუშაობს გზამკვლევზე, რომელიც ასევე დაფარავს გენდერული თანასწორობის მიმართულებებს (ბუჩუკური 2023). გირჩის და ევროპელი სოციალისტების ლიდერები პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არიან, თუმცა შიდაპარტიულ სტრუქტურაში ცალკე ქალთა გაძლიერების

მექანიზმი შექმნილი არ აქვთ და არც ამის საჭიროებას ხედავენ. გირჩის პოზიციაა რომ ადამიანები “ქალებად” და “კაცებად” არ უნდა დაყო და ყველა ინდივიდს უნდა ქონდეს აბსოლუტურად თანაბარი შანსი გახდეს პოლიტიკოსი გირჩში (საბო 2023). საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ შიდა პარტიულ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის საკითხი პარტიების მხრიდან არ არის იმდენად სერიოზულად აღქმული, რომ ამისთვის განსაკუთრებული ძალისხმევა გაიღონ.

მოცემული მაგალითებიდან იკვეთება, რომ ქალებთან მუშაობისას მიზანი ძირითადად

მათი საჭიროებების გამოვლენა და ადვოკატირებაა და არა მათი პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის მცდელობა. არჩევნების დროს პროპორციულ და მაჟორიტარულ სიებში ქალების წარმომადგენლობა უფრო საკანონმდებლო ვალდებულებიდან გამომდინარეობდა, ვიდრე გენდერული ბალანსის საჭიროების რეალურად გააზრებიდან. თუმცა, გამომდინარე იქიდან რომ მოსახლეობის დაკვეთა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობისკენაა მიმართულო, პოლიტიკურ პარტიებს მოუწევთ მომავალი არჩევნებისთვის ქალების მეტად მობილიზება და მათი პოლიტიკურად გაძლიერება..

## დასკვნა და რეკომენდაციები

2020 წლის საპარლამენტო მონვევის პოლიტიკური პარტიების შიდა სტრუქტურული მონაცემებისა და ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მიზნით არსებული მექანიზმების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ გენდერული კვოტირება დღესდღეობით არის ერთადერთი გზა ქალების პოლიტიკურად გააქტიურებისა და პოლიტიკაში გენდერული ბალანსის მეტნაკლებად დაცვის გარანტია. პარტიებში არსებული ქალთა საბჭოების მიზანი უფრო მეტად ქალი ამომრჩევლების მოზიდვაა, ვიდრე მათი პოლიტიკაში ჩართვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქალებზე ორიენტირებული შიდაპარტიული ორგანოების შექმნა პარტიებს საშუალებას აძლევს ქალთა საჭიროებების უკეთ გაცნობის და მათ საკანონმდებლო დონეზე ადვოკატირების, ხოლო მმართველი პარტიის შემთხვევაში მათი რიგი პრობლემების გადაჭრისაც კი, რადგან მათ მეტი ბერკეტი გააჩნიათ აღმასრულებელ რგოლში.

გენდერული თანასწორობის საკითხებზე დაბალი პოლიტიკური ცოდნის გამო, პოლი-

ტიკურ ელიტაში ჯერაც ბოლომდე არ არის გააზრებული ქალთა პოლიტიკური ნახალისების საჭიროება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოებში, განსაკუთრებით პარლამენტში წარმოდგენილი ქალი პოლიტიკოსების ძალისხმევით შედეგია საარჩევნო კოდექსში გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცვლილებების შეტანა. იმ შემთხვევაში თუ მომავალ არჩევნებში პარლამენტში და საკრებულოებში ქალთა წარმომადგენლობა გაიზრდება, ქალების ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნება პოტენციალი რომ ქალთა პოლიტიკური ჩართულობის და ზოგადად პოლიტიკაში გენდერული ბალანსის დაცვის საკითხი ნელ-ნელა ფართო საზოგადოებისთვის უფრო მისაღები და აქტუალური გახდება. შიდაპარტიულ და წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა პოლიტიკური გაძლიერების უზრუნველსაყოფად, პოლიტიკის ნარკვევში წარმოდგენილია რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიებისა და არჩევნებზე და გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის.

### რეკომენდაციები პოლიტიკურ პარტიებს:

- ეუთო-ოდირთან მჭიდრო თანამშრომლობით განერონ მკაფიო სტრატეგიები თავიანთ პარტიებში კვალიფიციური ქალი წარმომადგენლების მოსაზიდად და მომავალი არჩევნებისთვის მათ როგორც კანდიდატებად ისე გასაძლიერებლად მათი ლიდერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების ხელშეწყობის გზით;
- უზრუნველყონ მსგავსი პრაქტიკის მქონე ქვეყნების გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ თავიანთი პარტიების წევრებისთვის მასტერკლასების ჩატარება ქალთა პოლიტიკური ჩართვის გზებისადა ამ მხრივ საუკეთესო პრაქტიკების შესასწავლად;
- ორგანიზება გაუწიონ ვორქშოფების, ტრენინგების, ან საინფორმაციო სესიების ჩატარებას თავიანთი პარტიების მამაკაცი წარმომადგენლებისთვის პოლიტიკაში გენდერული მენსტრიმინგის დანერგვის მნიშვნელობაზე, რაც ხელს შეუწყობდა თვითმმართველობის გენდერულ საბჭოებში მათ გააქტიურებას;
- ხელი შეუწყონ პარტიების ქალი წარმომადგენლების მედია ხილვადობის გაუმჯობესება, რაც ქალ წარმომადგენლებს შესაძლებლობას მისცემს წინ წამოწიონ ქალთა საჭიროებები და პოლიტიკურ დღის წესრიგში დააყენონ ის საკითხები რასაც აქამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

### რეკომენდაციები საარჩევნო საკითხებზე და გენდერზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს:

- უზრუნველყონ ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე მმართველი და ოპოზიციური პარტიების გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობაში თანაბრად ჩართვის მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობებში ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა პოლიტიკური გაძლიერების ახალი პროგრამების დანერგვა;
- ხელი შეუწყონ პოლიტიკით დაინტერესებული აქტიური ახალგაზრდა ქალების პოლიტიკაში ჩართვას. მნიშვნელოვანია მათი ინტერესების გაღვივების მიზნით პოლიტიკური ჩართულობის მექანიზმებზე ექსპერტების მიერ სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის სიმულაციური ვორქშოფების ჩატარება;
- მხარი დაუჭირონ ქალ ამომრჩევლებზე მორგებული პარტიების დღის წესრიგის შემუშავების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე ქალი ამომრჩევლების ინიციატივების მცირე საგრანტო პროექტების ფარგლებში დაფინანსებას;
- მხარი დაუჭირონ ინიციატივებს,



---

რომლებიც მიმართულია კაცი პოლიტიკოსების მხრიდან გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ აქტივობებში ჩართულობისკენ და

უზრუნველყონ კაცი პოლიტიკოსების გენდერული მგრძობელობის შესახებ მთელი საქართველოს მასშტაბით კვლევის ჩატარება;

## გამოყენებული ლიტერატურა

- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება. 18.06.2019 №1/223/19. საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/genderuli-debuleba.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. 2022. სამოქმედო გეგმა 2022-2024. საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/gender-samoqmedo-gegma-2022.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი თანასწორობის საბჭო. 2023. წევრები (ქალი/კაცი). საქართველოს პარლამენტი. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament/councils/51090/deputies> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- კამპა, კამელა. 2021. FROGEE-ის პოლიტიკის ნარკვევი 3, დასკვნები საქართველოდან ქალების პოლიტიკური გაძლიერება: რა არის საქართველოს მთავარი დაბრკოლება გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში? ISET. ხელმისაწვდომია: <https://freepolicybriefs.org/wp-content/uploads/2021/03/frogee-policy-brief-3-georgia-geo.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- პავლიაშვილი, ირმა და მუხურაძე, სალომე. 2022. სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში: 2020 და 2021 წლების არჩევნების გამოცდილება. ხელმისაწვდომია: [https://www.undp.org/ka/georgia/publications/electoral-gender-quotas?fbclid=IwAR2\\_gLLYl9oFrLnwtpYrjK3M1mfvw9IWzJbcH-KRlQz\\_9BjwQHnk9K-Mxw](https://www.undp.org/ka/georgia/publications/electoral-gender-quotas?fbclid=IwAR2_gLLYl9oFrLnwtpYrjK3M1mfvw9IWzJbcH-KRlQz_9BjwQHnk9K-Mxw) ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- პირველი არხი. 2022. გია ვოლსკი – მარიამ ლაშხის ასეთი გააფთრებული ბულინგი, მით უფრო ქალების მონაწილეობით, უზნეობა იმიტომაცაა, რომ იგი ერთი მცირეწლოვანის დედაა და მეორეზეა ფეხმძიმედ. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/gia-volski-mariam-lashkhis-aseti-gaaftrebuli-bulingi-mit> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- რაკშიტი, დებოლენა და ლევტოვი, რუთი. 2020. კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში. UNDP. ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/georgia/publications/men-women-and-gender-relations-georgia-public-perceptions-and-attitudes> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- რადიო თავისუფლება. 2021. თინა ბოკუჩავა შალვა პაპუაშვილმა სპიკერატისთვის განკუთვნილი ადგილიდან ძალით გამოიყვანა. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31364779.html> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2022. ქალი და კაცი საქართველოში. ხელმისაწვდომია: [https://www.geostat.ge/media/51155/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98\\_2022.pdf](https://www.geostat.ge/media/51155/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98_2022.pdf) ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 1995. საქართველოს კონსტიტუცია. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2010. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10> ბოლოჯერ ნანახია: 4 მარტი, 2023.
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2011. საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=79> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.
- საქართველოს პარლამენტი. 2023. პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ „გენდერული კვოტირების“ წესთან დაკავშირებული ცვლილება პირველი მოსმენით მიიღო. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/>

[media/news/parlamentma-saarchevno-kodeksshi-genderuli-kvotirebis](#) ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.

საქართველოს პარლამენტი. 2021. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ანგარიში საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Gender/angarishi/genderuli-cliuri-angarishi-2021.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.

საქართველოს სახალხო დამცველი. 2020. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება, სპეციალური აქცენტი ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.

საქსტატი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2021. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში – საკრებულოში არჩეული წევრების შემადგენლობა (ერთეული). ხელმისაწვდომია: [http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database\\_Gender%20Statistics](http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database_Gender%20Statistics) ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.

Bunyan, Diane and Liluashvili, Nino. 2022. Study Identifying Barriers to Women’s (Women Candidates’) Political Participation in Georgia. Council of Europe and Electio Administration of Georgia. ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/en/web/electoral-assistance/-/how-to-enhance-women-s-political> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.

OSCE/ODHIR. 2022. პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ინსტრუმენტები ინსტრუმენტი 5: პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მხარდაჭერა და ხელშეწყობა. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/4/0/534615.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.

NDI da UNDP. 2022. საარჩევნო გენდერული კვოტები ხელს უწყობს ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას და გამოავლენს კანონმდებლობასა და პარტიულ წესებში არსებულ ხარვეზებს. ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/ka/georgia/press-releases/electoral-gender-quotas> ბოლოჯერ ნანახია: 4 მაისი, 2023.

### კვლევითი ინტერვიუები:

ბუჩუკური, ანა. 2023. საქართველოსთვის. 20 მარტი. ონლაინ ფორმატი, პირადი კომუნიკაცია;  
გალდავა, ლანა. 2023. ლელო საქართველოსთვის. 7 აპრილი. ონლაინ ფორმატი, პირადი კომუნიკაცია.  
გოგოლაძე, ანა. 2023. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. 14 მარტი. ონლაინ ფორმატი, პირადი კომუნიკაცია.

თურაზაშვილი, ქეთევან. 2023. მოქალაქეები. 20 მარტი. ონლაინ ფორმატი, პირადი კომუნიკაცია.

საბო, ჰერმან. 2023. გირჩი. 7 აპრილი. ონლაინ ფორმატი, პირადი კომუნიკაცია.

ჩიხლაძე, სერგო. 2023. სტრატეგია აღმაშენებელი. 4 აპრილი. ონლაინ ფორმატი, პირადი კომუნიკაცია.

ნილოსანი, ხატია. 2023. ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო. 13 აპრილი. პარლამენტი, პირადი კომუნიკაცია.



ქალთა პოლიტიკური გაძლიერება  
და საქართველოს დემოკრატიზაცია:  
რატომ არის მნიშვნელოვანი  
პარლამენტის ინკლუზიურობა?

ნინო სამხარაძე



## მოკლე შინაარსი

ინკლუზიური პოლიტიკური პროცესი საქართველოს ევროპეიზაციის უმთავრესი ფაქტორია. ინკლუზიურობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი კი ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებას და გადანყვეტილების მიღებაში მათი ჩართულობის გაზრდას გულისხმობს. 2023 წლის მარტში ე.წ. „აგენტების კანონის“ საპარლამენტო განხილვებმა აჩვენა, რომ ქალი პოლიტიკოსების აქტიურობას პოლიტიკურ პროცესებში არაერთი დადებითი ცვლილების შეტანა შეუძლია. შესაბამისად, საპარლამენტო საქმიანობაში მათი დადებითი როლის შესწავლა და ნახალისება მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის გზაზე. საქართველოში, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მიზნით, არაერთი რეფორმა განხორციელდა, რის შედეგადაც, მათი რაოდენობრივი წარმომადგენლობა პოლიტიკურ ინსტიტუტებში გაიზარდა. თუმცა, ეს საკმარისი არ არის გადანყვეტილების მიღების პროცესებზე მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის: პოლარიზებული პოლიტიკური გარემოსა და ქვეყანაში არსებული სტერეოტიპული განწყობების ფონზე, ქალი პოლიტიკოსებისთვის კვლავ ბევრი გამოწვევა არსებობს.

პოლიტიკის ნარკვევი იკვლევს, თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაძლიერებამ ქვეყანას ევროპეიზაციის გზაზე, რა განსაკუთრებული სიძნელების წინაშე დგანან ქალი დეპუტატები პარლამენტში მუშაობისას, და რა შეიძლება გაკეთდეს ამ სირთულეების დასაძლევად. პირველ ეტაპზე, ნაშრომში შეფასებულია ქალი დეპუტატების წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, შემდეგ, გაანალიზებულია ქალი პოლიტიკოსების განსხვავებული და ძლიერი მხარეები, რითაც მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის წარმართვაში. მომდევნო ნაწილში გამოკვეთილია პრობლემები, რომლებიც მათ პოლიტიკური საქმიანობის განხორციელებაში უშლით ხელს. ბოლოს, პოლიტიკის ნარკვევი შესაბამის აქტორებს - პარლამენტს, პოლიტიკურ პარტიებს და ქალ პოლიტიკოსებს - ამ გამოწვევებთან გამკლავებისთვის რეკომენდაციებს სთავაზობს.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს პარლამენტი, ქალი დეპუტატები, ქალი ამომრჩეველი.

## შესავალი

საქართველოში პოლიტიკური პროცესი, ძირითადად, განსაზღვრულია რადიკალიზებული და არასაგნობრივი პარტიათაშორისი დაპირისპირებით, რაც ქვეყანას ევროპეიზაციის პერსპექტივასთან უფრო და უფრო აშორებს. ერთ-ერთი თვალშისაცემი ხარვეზი ქართულ პოლიტიკაში არის ის, რომ ქალი პოლიტიკოსების ხედვები მეინსტრიმული პოლიტიკის მიღება და რჩენილი. ისინი მხოლოდ ფორმალურად არსებობს, რაც ვერ ეხმარება საგნობრივი და ინკლუ-

ზიური პოლიტიკური დისკურსის ფორმირებას – ქალი ამომრჩევლისთვის აქტუალური სპეციფიკური საკითხები პოლიტიკური ელიტების ყურადღების მიღმა რჩება მაშინ, როდესაც ისინი ამომრჩევლის 54% შეადგენენ (CEC nd.). მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით რამდენიმე რეფორმა განხორციელდა, პოლიტიკურ პროცესებზე მათი გავლენის რეალური მექანიზმები სუსტია, რაც ისედაც შენელებ-

ბულ ევროინტეგრაციას ხელს ვერ უწყობს და დამატებით გამოწვევად ისახება.

პოლიტიკის ნარკვევი, საქართველოს პარლამენტში ქალ დეპუტატთა მუშაობის მაგალითზე დაყრდნობით, ცდილობს, გააანალიზოს, რა სიძნელეების წინაშე დგანან ქალი პოლიტიკოსები, რატომ არის ქალ პოლიტიკოსთა გაძლიერება მნიშვნელოვანი ქვეყ-

ნის ევროპული მომავლისთვის და რა უნდა გაკეთდეს ამ მხრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურა, საერთაშორისო ინდექსები, საქართველოს პარლამენტის შესახებ საჯარო ინფორმაცია, ასევე, პირადი ინტერვიუები როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე საპარლამენტო ოპოზიციის წევრ ქალ დეპუტატებთან.

## ქალი დეპუტატების პრობლემური გზა საპარლამენტო მანდატამდე

იმ ფონზე, რომ ინკლუზიურობა დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, ქალი პოლიტიკოსების საპარლამენტო წარმომადგენლობის ანალიზი ფართო სურათს გვაძლევს იმის შესახებ, თუ რამდენად ახლოს არის საქართველო ამ მიმართულებით ევროპულ სტანდარტთან. ქართული ოცნების მმართველობის ქვეშ, ამ მხრივ, არაერთი რეფორმა განხორციელდა, რის შედეგადაც, ბოლო წლების განმავლობაში, ეს მაჩვენებელი ზრდადია (დიაგრამა 1), თუმცა არა მაინცდამაინც მაღალი (18.7%) (კუნჭულია 2022)<sup>1</sup>.


ქალი პარლამენტარების ჯერ კიდევ არასაკმარის წარმომადგენლობაზე მიუთითებენ

საერთაშორისო მაჩვენებლები, როგორცაა საერთაშორისო საპარლამენტო კავშირის 2022 წლის ინდექსი, რომლის მიხედვითაც, საქართველო პარლამენტში ქალ წევრთა რაოდენობით 193 სახელმწიფოს შორის 121-ე ადგილზეა (IPU 2022). 2022 წლის გენდერული მგრძობელობის ინდექსის მიხედვით კი, საქართველოს 61.78 ქულა აქვს, რაც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელზე დაახლოებით 7 ქულით დაბალია და მაქსიმალური 100 ქულისგან საკმაოდ შორსაა (EIGE 2022). შესაბამისად, ცხადია, რომ ზრდადი დინამიკის მიღმა, ფართო სურათში, გარკვეული ხარვეზები მაინც არსებობს, რომელთა კვლევა მათზე ადეკვატური რეაგირების მიზნით აუცილებელია.

<sup>1</sup> 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რამდენიმე ოპოზიციონერმა დეპუტატმა, მათ შორის, 4-მა ქალმა საპარლამენტო მანდატზე უარი თქვა.



**დიაგრამა 1.** საქართველოს მეათე მონვევის პარლამენტში ქალი დეპუტატების პროპორციული მაჩვენებელი



წყარო: <https://data.worldbank.org/indicator/SG.GEN.PARL.ZS?locations=GE>

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, შესაძლოა, იყოს ქალების მიმართ ნდობის საკითხი როგორც პარტიებში, ისე ამომრჩეველში, რისი ილუსტრაციაც არის ის, რომ ქალი პოლიტიკოსები ნაკლებად არიან წარმოდგენილი და არჩეული მაჟორიტარულ კანდიდატებს შორის. 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში რეგისტრირებული პარტიული სიისა და მაჟორიტარი კანდიდატებიდან ქალთა ხვედრითი წილი, შესაბამისად, 44.30% და 21.84% იყო (ჯორჯ 2022). მიმდინარე მონვევის პარლამენტში ამჟამად მხოლოდ პარტიული სიით არჩეული ქალი დეპუტატები მუშაობენ. ეს მოცე-

მულობა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს გავრცელებულ მოსაზრებასთან, რომ ქალი კანდიდატისთვის, ტრადიციულად, რთულია მამაკაც კონკურენტთან თანაბარ ინდივიდუალურ კონკურენციაში შესვლა: წინასწარჩვენო ბრძოლის დროს, ტრადიციულად, დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევა ქალის სუსტი სოციოეკონომიკური მდგომარეობა და საოჯახო საქმიანობაზე მეტი მიჯაჭვულობა (Kittilson 2021; Inglehart & Norris 2003). ამასთან, როგორც წესი, ის უფრო ხშირად ხდება სტერეოტიპული დაბრკოლებების მსხვერპლი საზოგადოების თვალში, ბევრად ადვილია მისი რეპუტაცი-

ის შელახვა, შესაბამისად მის პოლიტიკურ საქმიანობაზე გავლენის მოხდენა (აქუბარდია 2023; ბუჩუკური 2023; UN Women 2017). ყველაფერი ეს ქალ პოლიტიკოსს, პოლიტიკურ პროცესზე ხელმისაწვდომობის არეალს უმცირებს, განსაკუთრებით ნინასაარჩევნო პერიოდში, რაც მის მიმართ ნდობის ფორმირებას ხელს ვერ უწყობს.

ამგვარად, მიუხედავად საქართველოს პარ-

ლამენტში ქალი დეპუტატების ზრდადი დინამიკისა, ფართო სურათში კარგად ჩანს, რომ ქალთა საპარლამენტო წარმომადგენლობა და შედეგიანი მუშაობა საქართველოში გარკვეული პრობლემების წინაშე დგას, რომელთა მოგვარებაზე მუშაობაც ქვეყანას ახლა, ევროინტეგრაციის პროცესის ასეთ მნიშვნელოვან ეტაპზე, სასიცოცხლოდ სჭირდება.

## რატომ არის ქალი პოლიტიკოსების გაძლიერება პარლამენტში მნიშვნელოვანი?

მიჩნეულია, რომ ქალი პოლიტიკოსების გაძლიერება დადებითი და კონსტრუქციული მიმართულებით ცვლის პოლიტიკის შინაარსსაც და ფორმასაც (O'Brien & Piscopo 2019; Franceschut et al. 2012). ქალებს, ამ თვალსაზრისით, რამდენიმე თვისება გამოარჩევთ: ისინი მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად რადიკალურები არიან გამომხატვის ფორმებში, ადვილად შეუძლიათ კომპრომისებზე წასვლა და გარკვეული საკითხების გარშემო თანამშრომლობა განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებების განსხვავებისა. საქართველოშიც ქალი დეპუტატები მამაკაცებზე მეტად არიან მიდრეკილი დეპოლარიზაციისა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული პოლიტიკისკენ, რაც საქართველოს პარლამენტში არსებული პრაქტიკითაც დასტურდება (აქუბარდია 2023, ბუჩუკური 2023).

სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებებისა და პარტიული კუთვნილების ქალებისთვის ადვილია პარტიათაშორისი მობილიზება გენდერულად სენსიტიურ სპეციფიკური პრობლემების გარშემო, როგორცაა სექსუალური შევიწროება ან ძალადობა (Interpressnews 2023), რამაც, შესაძლოა, გაზარდოს კონკურენტების მიმართ

ლოიალობა და თანამშრომლობის სივრცე. საინტერესოა შემთხვევა, როდესაც საპარლამენტო ოპოზიციის ქალმა დეპუტატებმა ერთობლივი მხარდაჭერა გამოუცხადეს მმართველი გუნდის წევრს, თეა წულუკიანს, როდესაც გაჟღერდა მისი, როგორც სპორტის ქალი მინისტრის პრობლემების შესახებ სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობაში, რომელიც ქალის უფლებებს ეხება (ცქიფურიშვილი 2022; ბუჩუკური 2023). ვინროპარტიული კუთვნილება ვერ იქცა ხელისშემშლელ ფაქტორად, როდესაც საქმე გენდერულად მგრძობიარე საკითხს უკავშირდებოდა. ეს შემთხვევა იმაზე მიუთითებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დამაზიანებელი პოლარიზაციის მაღალი ხარისხი არსებობს, ქალთა პრობლემებზე და მათ საჭიროებებზე ფოკუსირებული მუშაობა, შესაძლოა, ინტერპარტიული კომუნიკაციის თვალსაზრისით გამაერთიანებელ ფაქტორად იქცეს, რაც საქართველოში თანამშრომლობაზე დაფუძნებული პოლიტიკური კულტურის მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი რესურსია.


გარდა ამისა, ქალებს დადებითი ცვლილების შეტანა შეუძლიათ სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივი

ნდობის გაზრდის თვალსაზრისით, რაც დემოკრატიის გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სტერეოტიპულად მიიჩნევა, რომ ამომრჩეველი ქალ კანდიდატს ძლიერ ლიდერად იშვიათად აღიქვამს და ეს ერთ-ერთი ნეგატიური ფაქტორია ხმის მიცემის დროს ქალი კანდიდატი სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებისას. სხვადასხვა კვლევების მიხედვით, საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ კაცები ქალებთან შედარებით უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან და რომ ზოგადად

პოლიტიკა უფრო მეტად კაცებისთვის შესაფერისი სფეროა (ბაგრატია 2020). თუმცა, კამპანიის დროს არაფორმალური ურთიერთობებისას, შესაძლოა, ამომრჩეველმა ქალი პოლიტიკოსის მიმართ უფრო მეტი ნდობაც აჩვენოს (აქუბარდია 2023). ამავდროულად, მოსახლეობის (მათ შორის, მამაკაცი ამომრჩევლის) ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ ქალთა რაოდენობა პარლამენტში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და მამაკაც დეპუტატთა რაოდენობას გაუთანაბრდეს (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2.** საზოგადოებრივი აზრი ქალი და კაცი პარლამენტარების გადანაწილების შესახებ, დეკემბერი, 2022 წელი

**BESTPRP: როგორი იქნებოდა ქალი და კაცი პარლამენტარების საუკეთესო გადანაწილება პარლამენტში?  
x RESPSEX: რესპონდენტის სქესი (%)**



NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის დეკემბერი  
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

წყარო: <https://caucasusbarometer.org/ge/nd2022ge/BESTPRP-by-RESPSEX/>

შესაბამისად, საზოგადოებაში ქალი პოლიტიკოსების მიმართ გარკვეული მოთხოვნა და მოლოდინები არსებობს, თუმცა სტერეოტიპული და კულტურული დაბრკოლებები ხელს უშლის მათ გაძლიერებას და ეფექტიანობას

საპარლამენტო დღის წესრიგში, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა ნეგატიურად აისახებოდეს, ზოგადად, პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ნდობაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ქალ დეპუტატ-

ტებს რეალური შესაძლებლობა მიეცეთ, წინ წამოწიონ ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანი საგნობრივი დისკუსია პარლამენტში, რასაც მათ მიმართ არსებული საზოგადოებრივი ნდობის რესურსის გარდაქმნა შეუძლია პარლამენტის, როგორც ინსტიტუტის მიმართ საზოგადოებრივ ნდობად.

ქალ პარლამენტარებს შეუძლიათ, ისეთი საკითხები დააყენონ საპარლამენტო დღის წესრიგში, რომლებიც საკუთრივ ქალი ამომრჩევლის წინაშე არსებულ გამოწვევებზეა ორიენტირებული, რადგან ქალ პოლიტიკოსებს, როგორც წესი, ამგვარი საკითხები უფრო ნათლად ესმით. მაშინაც კი, როდესაც დეპუტატის კონკრეტული ინტერესი არ არის გენდერი, ის თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, მეტად აქცევს ყურადღებას ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებს,

მაგალითისთვის, მათ ეკონომიკურ გაძლიერებას რეგიონებში, მათი დასაქმების გაზრდას საპოლიციო ან უსაფრთხოების ინსტიტუტებში, მათი უფლებების დაცვას საოკუპაციო ხაზთან და ა.შ. (Parliament of Georgia n.d.; აქუბარდია 2023).


ამგვარად, ქალ პოლიტიკოსებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქვეყნის დემოკრატიზაციაში დეპოლარიზაციის, საგნობრივი დისკუსიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გაზრდის მიმართულებით. თუმცა, ქალი პოლიტიკოსები არაერთი სტრუქტურული თუ სტერეოტიპული პრობლემის წინაშე დგანან, რომელთა გადაჭრის გარეშე, დემოკრატიული სახელმწიფოს დასავლურ მოდელთან მიახლოება შორ პერსპექტივად რჩება.

## ქალი პარლამენტარები და მათ წინაშე არსებული გამოწვევები

იმ გამოწვევებზე მსჯელობისას, რომლებიც ჯერ კიდევ ხელს უშლით ქალებს, დადებითი წვლილი შეიტანონ ქვეყანაში პოლიტიკური გარემოს გაჯანსაღებაში, შეიძლება, რამდენიმე ძირითადი პრობლემა გამოიყოს. უკომპრომისო პოლარიზაცია, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ოპოზიციონერი პარლამენტარების ეფექტიან მუშაობას, მათი უფლებების დაცვას პარლამენტში და მათ წარმომადგენლობას მმართველ პოზიციებზე. მართალია, ქალთა ხვედრითი წილი საპარლამენტო უმრავლესობაში ოპოზიციასთან შედარებით ოდნავ

ნაკლებია (დიაგრამა 3), თუმცა მათემატიკურად მმართველ პარტიას დღეს უფრო მეტი ქალი დეპუტატი ჰყავს, ვიდრე ოპოზიციას (15 და 11 შესაბამისად). საპარლამენტო კომიტეტების მმართველ პოზიციებზე მოქმედი ქალი დეპუტატებიდან მხოლოდ ორი მათგანია კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე, რაც ქმნის განცდას, რომ საპარლამენტო ოპოზიციის წევრი ქალებისთვის კიდევ უფრო შეზღუდულია საპარლამენტო ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობა და მათი ეფექტიანობა, შესაძლოა, მმართველი ძალის პოლიტიკურ ნებაზე იყოს დამოკიდებული.

**დიაგრამა 3.** მეათე მონვევის პარლამენტში ქალი დეპუტატების პროპორციული გადანაწილება საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციაში



წყარო: <https://parliament.ge/parliament-members>

ამგვარად, ქალ დეპუტატთა წინაშე არსებულ გამოწვევებზე მსჯელობისას შეიძლება ისეთ ფაქტორებზე საუბარი, როგორცაა ქალთა შესახებ გენდერულად

დაყოფილი შეხედულებები და ვალდებულებები, სტრუქტურული ხარვეზები და პოლიტიკური ნების საკითხი საპარლამენტო საქმიანობაში.

### გენდერულად სენსიტიური გამოწვევები

ქალი დეპუტატისთვის ისეთი საკითხები დგას გამოწვევის სახით, როგორცაა ოჯახური ვალდებულებები, რომლებიც, ქართულ საზოგადოებაში ფუნქციონალურად გენდერულადაა დაყოფილი და მიიჩნევა, რომ საკუთრივ ოჯახზე ზრუნვის თვალსაზრისით ქალი უფრო მეტად უნდა იყოს დაკავებული, ვიდრე მამაკაცი (ბაგრატია 2020). ამიტომ, პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისთვის ქალისთვის ბევრად უფრო რთულია დროის მენეჯმენტი – იყოს მისანვდომი ნებისმიერ დროს შეხვედრებსა თუ განხილვებში ჩასართველად (აქუბარდია 2023; ბუჩუკური 2023; ლაშხი 2023). ხშირად

საპარლამენტო პროცესი ამ ფაქტორს არ ითვალისწინებს, რაც ზღუდავს ქალთა აქტიურ მონაწილეობას დისკუსიებში.

ამასთან, ქალი კოლეგების აღქმა მამაკაცი დეპუტატების მხრიდან ხშირად არაპროფესიონალურია: საპარლამენტო მუშაობის დროს არის შემთხვევები, როდესაც მამაკაცი დეპუტატები ცდილობენ განხილვების პროცესში სხვადასხვა ფორმით ფიზიკურ შესაძლებლობებს მიმართონ და ასე გამოთიშონ ქალი ოპონენტები დისკუსიიდან – მაგალითად, ხელით შეხებით, ქალის ხმის აგრესიული გადაფარვის მცდელობით ან

ქალის მიმართ გენდერულად მოტივირებული სტერეოტიპული კომენტარებით (ბიძინაშვილი 2021). ამგვარად, კაც დეპუტატებს შორის ქალი კოლეგების მიმართ თანაბრობის არასწორი აღქმა არსებობს (ბუჩუკური 2023) და, შესაბამისად, საპარლამენტო მუშაობის საგნობრივი მხარე და პროფესიონალური დისკუსიები, ამ თვალსაზრისით, ხშირად ზიანდება.

და ბოლოს, ქალი დეპუტატი, როგორც წესი, უფრო ხშირად და ადვილად ხდება დემონიზების სამიზნე პოლიტიკური კონკურენციის დროს. ქალ პოლიტიკოსს, საზოგადოების სტერეოტიპულობიდან გამომდინარე, პირად და ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებული მასალების თუ დეზინფორმაციის გავრცელება უფრო ადვილად აზიანებს

### **სტრუქტურული საპარლამენტო პრობლემები**

გარდა გენდერულად მგრძნობიარე საკითხებისა, მნიშვნელოვანია თავად საქართველოს პარლამენტში არსებული სტრუქტურული პრობლემები, როგორცაა გენდერული და ეთიკის საბჭოების ეფექტიანობა ქალთა გაძლიერების თვალსაზრისით და ამ მხრივ პოლიტიკური ნების ფაქტორი.

თუ საპარლამენტო საბჭოებში ზოგადად ქალთა წევრობის და მუშაობის მაჩვენებლებს შევხედავთ, ვნახავთ, რომ ეთიკის საბჭოში არცერთი ქალი დეპუტატი არ არის, რაც პრობლემას წარმოადგენს. ეთიკის საბჭო არის ის სტრუქტურა, რომელმაც რეაგირება უნდა მოახდინოს გენდერული ნიშნით ეთიკური ნორმების დარღვევაზე. იმ ფონზე, რომ ეთიკის საბჭოს მიერ დარღვევების გამოკვეთა და შემდეგ მათი აღსრულება მაინცდამაინც ეფექტიანი არ არის (აქუბარდია 2023; ბუჩუკური 2023), ამგვარი დაკომპლექტებით (საბჭოს 12 წევრიდან ყველა მამაკაცია) საბჭოსთვის განაცხადით მიმართვას, შესაძლოა, სულაც აზრი

(აქუბარდია 2023; ბუჩუკური 2023; ლაშხი 2023). ამ ყველაფრის საზიანო შედეგებს, საბოლოო ჯამში, ამძაფრებს რადიკალიზებული პოლიტიკური გარემო საქართველოში, სადაც სტერეოტიპული თუ გენდერულად სენსიტიური საკითხები ხშირად ოპონენტის გასანიჭრალეზად პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი ხდება. რადიკალური პოლარიზაციის პირობებში, ხშირად, ქალთა შორის სოლიდარობის მაღალი ხარისხიც ვერ უწყობს ხელს პარლამენტში ქალთა უფლებების მხრივ ეთიკური ნორმების დაცვას (ბუჩუკური 2023), რადგან მაშინაც კი, როცა საქმე საერთო პრობლემას ეხება, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის ქალ დეპუტატებს შორის ხილჩატეხილობის ხარისხი დიდია.

ეკარგებოდეს (PoG 2021). ეთიკის საბჭო არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი და სხვადასხვა ანგარიშებში მის უმოქმედობას და არაეფექტიანობას ესმება ხაზი (TIG 2020). ამიტომ, ამ ერთეულის გაჯანსაღება და ეფექტიანად ამუშავება ქალი დეპუტატების საქმიანობის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია. თუმცა, ხშირად, საბჭოს მხრიდან დარღვევებზე რეაგირება პოლიტიკური ნების საგანია და გარდა სტრუქტურული გარდაქმნისა (დაკომპლექტებისას გენდერული ბალანსის დაცვა, პასუხისმგებლობის მექანიზმების გაძლიერება), საჭიროა, რომ ეთიკის საბჭოს მუშაობა პოლიტიკურად მიუკერძოებელი პრინციპებით ხდებოდეს, რაც ამ ეტაპზე, მოგვარებული არ არის (ბუჩუკური 2023; TIG 2020).

გენდერული თანასწორობის საბჭო უმთავრესი საპარლამენტო ერთეულია, რომელიც პასუხისმგებელია გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შეთავაზებაზეა პასუხ-

ისმგებელი და, ამავდროულად, საქართველოს პარლამენტში ქალთა გაძლიერებას უზრუნველყოფს (PoG 2017). საყურადღებოა, რომ მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოებს შორის გენდერული თანასწორობის საბჭო ერთ-ერთი ყველაზე აქტიურია და მისი საქმიანობა, ძირითადად, დადებითად ფასდება (TIG 2022a; აქუბარდია 2023; ლაშხი 2023). საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო სტრატეგიაში (Parliament of Georgia 2022) პარლამენტში ქალთა გაძლიერების მიმართულებით დაგეგმილია მნიშვნელოვანი ღონისძიებები: პარლამენტის კომიტეტების სამოქმედო გეგმების გენდერული ანალიზი, ქალი დეპუტატების შეხვედრები ინტერპარტიულ ფორმატში, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება, რომელიც დაგეგმილია აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების პარლამენტებში გადამწყვეტილებების მიმღებ ქალ პრაქტიკოსთა გაერთიანების (community of practice) ფარგლებში.

თუმცა, ამ ყველაფრის ფონზე, საბჭოს ეფექტიანობა რამდენიმე ხარვეზის გამო შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

საინტერესოა, რომ 26 ქალი დეპუტატიდან 13 მათგანი ამ საბჭოს წევრი არ არის (Parliament of Georgia n.d.). ქალთა ისედაც მცირე საპარლამენტო წარმომადგენლობის ფონზე, გენდერული საბჭოს მუშაობაში დეპუტატ ქალთა ნახევრის არყოფნა ამ ერთეულის რეალური მუშაობის მიმართულებით საფუძვლიან ეჭვებს აჩენს. ფუნდამენტურ ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ ასევე ის, რომ საბჭოს რეკომენდაციებზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებების რეაგირება და აღსრულების მექანიზმი სუსტია და შედეგზე ნაკლებადაა ორიენტირებული (TIG 2022b). შესაბამისად, საჭიროა, როგორც კონკრეტულად საბჭოს შემადგენლობამ, ისე ზოგადად პარლამენტის სხვა ერთეულებმა იმსჯელონ საბჭოს რესტრუქტურისაზე ისე, რომ ქალი დეპუტატების (თუნდაც, არანაირი ქალების) წვლილი სხვადასხვა ფორმატებში რაც შეიძლება მეტად გაიზარდოს საბჭოს მუშაობისას. ასევე, მნიშვნელოვანია სხვა სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდის მექანიზმებზე მუშაობა საინფორმაციო თუ საკონსულტაციო პლატფორმების ინიცირების გზით.

## დასკვნა და რეკომენდაციები

ქალთა პოლიტიკურ გაძლიერებას საქართველოს დემოკრატიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია, განსაკუთრებით, ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის ასეთ გარდამტეხ პერიოდში, როცა საქართველო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებას ელის. ქალი პოლიტიკოსების ხელში არსებული რესურსების უგულვებელყოფა აფერხებს ქვეყნისთვის ისეთი ფუნდამენტური საკითხების გადაჭრას, როგორიცაა რადიკალიზებული პოლიტიკური გარემო, საზოგადოებრივი ნდობის კრიზისი სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, არასაგნობრივი და ვინროპარტიული დისკუსია და ა.შ. ქალ

პოლიტიკოსებს არაერთი ინსტრუმენტი გააჩნიათ ამ მხრივ ქვეყანაში პოზიტიური ცვლილების შესატანად, რაც თვალნათლივ ჩანს საქართველოს პარლამენტში ქალი დეპუტატების მუშაობის მაგალითზე.

ამის საპირისპიროდ, ქალი პარლამენტარებისთვის ჯერ კიდევ ძლიერი დაბრკოლებაა სტერეოტიპული, გენდერულად სენსიტიური და სტრუქტურული პრობლემები, რომლებიც მათ გაძლიერებას უშლის ხელს. ასეთ პრობლემებს შორისაა ქალთა მიმართ ამომრჩეველსა და პარტიაში სტერეოტიპული აღქმები, მიჯაჭვულობა საოჯახო საქმიანო-

ბაზე და მათი რეპუტაციული მონყვლადობა დემონიზების თუ სხვა ტიპის ზიანის წინაშე. ქალი დეპუტატებისთვის ამ პრობლემების მოგვარებას ხელს ვერ უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორცაა ეთიკის და გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოები, რადგან ხშირად მათი ეფექტურად მუშაობა, განსაკუთრე-

ბით ოპოზიციონერი ქალების გასაძლიერებლად, უმრავლესობის პოლიტიკური ნებაზეა დამოკიდებული. ამ გამოწვევებზე საპასუხოდ, ნარკვევში შეთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები პარლამენტისთვის, ქალი დეპუტატებისთვის და პოლიტიკური პარტიებისთვის.

### რეკომენდაციები საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს პარლამენტში დაიგეგმოს და განხორციელდეს პოლიტიკური კუთვნილების განურჩევლად, ქალ დეპუტატთა მიმართ ნდობის, სოლიდარობის და თანაბრობის აღქმის მიმართულებით ღონისძიებები, მათ შორის, მაგალითად, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების, დასავლურ სტანდარტებთან გაცნობის და ჰარმონიზაციის კუთხით;
- საქართველოს პარლამენტში შეიქმნას ხელშემწყობი მექანიზმები, მაგალითად, კვოტირების მსგავსი ინსტრუმენტი, რათა გაიზარდოს შესაძლებლობა საპარლამენტო ოპოზიციის წევრი ქალებისთვის, დაიკავონ სხვადასხვა წამყვანი პოზიციები პარლამენტში, სადაც ისინი საკუთარი დღის წესრიგის უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩენას შეძლებენ;
- გაძლიერდეს ეთიკის საბჭოს რეაგირების მექანიზმები გენდერული ნორმების დარღვევაზე. ამისთვის შეიქმნას მონიტორინგის და ანგარიშვალდებულების დამატებითი ინსტრუმენტი, მაგალითად, მონვეულ იქნას სახალხო დამცველის შესაბამისი წარმომადგენლობა პარლამენტში გენდერულად სენსიტიური დარღვევების განხილვისას;
- პოლიტიკური მიკერძოებულობის თავიდან აცილების მიზნით, ეთიკის საბჭოს შემადგენლობა დაბალანსდეს არაპარტიული პროფესიონალი წევრებით (მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით), რომლებსაც შეეძლებათ მრჩეველთა საბჭოს ან რაიმე სხვა ტიპის საკონსულტაციო პლატფორმის შემთხვევაში გავლენა მოახდინონ საბჭოს ეფექტიანობის გაზრდაზე;
- დაკომპლექტდეს ეთიკის საბჭო ისე, რომ მის წევრებს შორის გადანაცვლებების მიღების პროცესში ქალთა რაოდენობა ადეკვატურად იყოს წარმოდგენილი;
- პარლამენტის შესაბამის სტრუქტურებში (კომიტეტები და საბჭოები) გაიმართოს დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების აღსრულების ეფექტიანი კონტროლი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მხრიდან;
- გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭომ შექმნას



დამატებითი მრავალმხრივი ფორმატები სამოქალაქო სექტორთან და კვლევით ცენტრებთან დარგობრივი მუშაობისთვის, გამოცდილების გა-

ზიარებისა და კომპეტენციის გაღრმავების მიზნით, რომელიც გენდერულად სენსიტიურ საკითხებზე მუშაობას სჭირდება.

### რეკომენდაციები პოლიტიკურ პარტიებს:

- წინასაარჩევნო კამპანიის დროს პარტიამ მაქსიმალურად იზრუნოს იმაზე, რომ საარჩევნო სიებში მოიზიდონ კვალიფიციური ქალი პოლიტიკოსები, რომლებიც პარტიის დღის წესრიგში, საარჩევნო პროგრამაში და წინასაარჩევნო კამპანიებში რეალურ ცვლილებებს შეიტანენ;
  - წინასაარჩევნო კამპანიების დროს დაგეგმონ კონკრეტულად ქალი პოლიტიკოსების სიძლიერის და უპირატესობების წარმოჩენის სტრატეგია, რაც მათ მეტად დაეხმარება ამომრჩევლის ნდობის მოპოვებაში;
  - პარტიებმა, რომლებსაც უკვე ჰყავთ მანდატის მფლობელი ქალი დეპუტატები, აქტიური საინფორმაციო კამპანია აწარმოონ ე.წ. წარმატებული ისტორიების (სუცცესს სტორყ) მიმართულებით საზოგადოებაში, შეიტანონ ეს საკითხი 2024 წლის საარჩევნო კამპანიის სტრატეგიის დაგეგმვისას;
  - პარტიებმა, რომლებსაც უკვე ჰყავთ მანდატის მფლობელი ქალი დეპუტატები, გამოიყენონ ეს რე-
- სურსი (საკომიტეტო განხილვები თუ ინფორმაციის გამოთხოვის სხვადასხვა ინსტრუმენტები) საკუთარ პლატფორმაში ქალი ამომრჩევლის საჭიროებების და გადაჭრის გზების ასახვად;
  - გააძლიერონ სადისკუსიო პლატფორმები ქალი წევრებისა და ქალი ამომრჩევლისთვის ყოველწლიური ფორუმების, საზაფხულო სკოლებისა და ბანაკების ან კვლევითი სავსლე სამუშაოების სახით;
  - დააინიცირონ ან მხარდაჭერა გამოუცხადონ ქალთა ინტერპარტიულ პლატფორმებს, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტულად ქალი პოლიტიკოსების გამოცდილების გაზიარებას, მათ შორის თანამშრომლობითი პოლიტიკური მუშაობის პრეცედენტის შექმნას;
  - მხარი დაუჭირონ რეგულარული ერთობლივი საკონსულტაციო პლატფორმის შექმნას პოლიტიკაში გენდერის საკითხებზე სპეციალიზებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით.

## გამოყენებული ლიტერატურა:

- CEC. nd. ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/ge/archevnebi/2020> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- EIGE. 2022. Gender-sensitive Parliaments. ხელმისაწვდომია: <https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/toolkits/gender-sensitive-parliaments/assessments/overview> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- Franceschet, Susan, Crook, Mona Lena & Tan, Netina. 2021. The Palgrave Handbook of Women's Political Rights. Birkbeck, University of London London, UK;
- Inglehart, Ronald, and Pippa Norris. 2003. Rising Tide: Gender Equality and Cultural Change Around the World. New York: Cambridge University Press;
- Interpressnews. 2023. ქალი დეპუტატები – სახელმწიფომ მოძალადის მხარე დაიკავა, რაც მიუღებელია! მოვითხოვთ რეაგირებას კანონის სრული სიმკაცრით! ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/ka/article/750076-kali-deputatebi-saxelmcpom-mozaladis-mxare-daikava-rac-miugebelia-mov-itxovt-reagirebas-kanonis-sruli-simkacrit/> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- IPU. 2022. Monthly ranking of women in national parliaments. ხელმისაწვდომია: <https://data.ipu.org/women-ranking?month=2&year=2022> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- Kittilson, Miki Caul. 2021. Gender and Electoral Behavior. In Franceschet, Susan. The Palgrave Handbook of Women's Political Rights. Birkbeck, University of London London, UK;
- O'Brien, Diana Z. & Piscopo, Jeniffer M. 2021. The Impact of Women in Parliament. In Franceschet, Susan. The Palgrave Handbook of Women's Political Rights. Birkbeck, University of London London, UK;
- PoG. n.d.a. პარლამენტის წევრები. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament-members> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- PoG. n.d.b. პარლამენტის წევრის კითხვა. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament-members> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- PoG. 2021. პარლამენტის ეთიკის საბჭოს შემადგენლობაში 8-ის ნაცვლად 12 წევრი იქნება. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/news/parlamentis-etikis-sabchos-shemadgenlobashi-8-is-natsvlad-12-tsevri-ikneba> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- PoG. 2022. დოკუმენტები. ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament/councils/51090/documents> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- TIG. 2020. The Code of Ethics of the Parliament of Georgia is not an Effective Document. ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/en/post/code-ethics-parliament-georgia-not-effective-document> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- TIG. 2022a. Performance Evaluation of the Gender Equality Council. ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/en/post/performance-evaluation-gender-equality-council> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- TIG. 2022b. Ethics Council in the Parliament of the 10th Convocation has not yet been Activated. ხელმისაწვდომია: <https://www.transparency.ge/en/post/ethics-council-parliament-10th-convocation-has-not-yet-been-activated> ბოლოჯერ ნანახია: 24 მარტი, 2023;
- ბაგრატია, თამარ. 2020. ქალი ამომრჩევლის ელექტორალური ქცევის ირაციონალური და რაციონალური ასპექტები. ხელმისაწვდომია: [http://eecmd.org/wp-content/uploads/2020/06/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90\\_EECMD\\_2020.pdf](http://eecmd.org/wp-content/uploads/2020/06/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90_EECMD_2020.pdf) ბოლოჯერ ნანახია: 13 აპრილი, 2023;
- ბიძინაშვილი, ნინო. 2021. დეპუტატი მანდატურის ფუნქციით – როგორ იძალადეს ქალებზე პარლამენტში. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/554876/> ბოლოჯერ ნანახია: 13 აპრილი, 2023;

კუნჭულია, ლელა. 2022. ვინ დატოვა, ვინ დარჩა, ვინ წყვეტს საქართველოს მომავალს პარლამენტში? ხელმისაწვდომია: [shorturl.at/wPQY8](https://shorturl.at/wPQY8) ბოლოჯერ ნანახია: 13 აპრილი, 2023;

ნემსაძე, გვანცა. 2023. „პოლიციური რეჟიმის მაგალითი“ – დეპუტატი ქალები იხსენებენ „აგენტების“ კანონის პირველ განხილვას. ხელმისაწვდომია: [shorturl.at/HNS48](https://shorturl.at/HNS48) ბოლოჯერ ნანახია: 13 აპრილი, 2023;

ცქიფურიშვილი, ნათია. 2022. ქალი ოპოზიციონერი დეპუტატების სოლიდარობა წულუკიანს. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/631945/> ბოლოჯერ ნანახია: 13 აპრილი, 2023.

### **კვლევითი ინტერვიუები:**

აქუბარდია, თეონა. 2023, 16 მარტი, საქართველოს პარლამენტი, პირადი კომუნიკაცია;

ბუჩუკური, ანა. 2023, 17 მარტი. ონლაინ ფორმატი, პირადი კომუნიკაცია;

ლაშხი, მარიამ. 2023, 27 მარტი, საქართველოს პარლამენტი, პირადი კომუნიკაცია.





ISBN 978-9941-499-52-4



9 789941 499524